ლიბერალი
№ 131 / 8 - 14 აპრილი / 2013

ინტერვიუ ვიოლა ფონ კრამონთან გვ. 10
რაში ვუხდით ლობისტებს? გვ. 08
ვილნიუსის სამიტამდე გვ. 16
დეპუტატი თოფაძე vs მეწარმე აბრამაშვილი გვ. 26
საყოველთაო ჯანდაცვის ანატომია გვ. 32
მწეველები მეტს გადაიხდიან გვ. 35

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

სილაჩიბე, ჩობოჩს სასჯელი

გვ. 20

ნანა ომიდის

რაც დარჩა სათქმელი

ყოველ შაბათს 22:00

მეხვედრიდან
მეხვედრამდე ყოველთვის
რჩება რაღაც უთქმელი,
ის, რაც ყველაზე მეტად
საინტერესოა.

სტუმრად მათთან, ვისაც
ყოველთვის აქვს
სათქმელი.

tv 9

ლიბერალი

№ 130 / 1 – 7 აპრილი / 2013

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:
ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

კონტრიბუცია:
სილვია შტიობერი, ბეჟან სვანიძე, გიორგი მგელაძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვების დირექტორი:
ქეთევან ქავთარაძე
მარკეტინგის მენეჯერი:
ია შენგელია
დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორის სვეტი



სასაცილო ხალხია ეს წვრილი ჩინოვნიკები – თურმე გურჯაანისა და სიღნაღის გამგებლების კაბინეტებს ორმაგი კარი აქვს – ორივესას. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალის შესახებ სოფო აფციაურის რეპორტაჟიდან გაიგებთ. სოფო წინა კვირაში კახეთში იყო წასული ცოტა არ იყოს უჩვეულო ამბავზე სტატიის დასაწერად – ანაგელი მშობლები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილები ჰყავთ, გაერთიანდნენ, ერთმა კეთილმა ადამიანმა საკუთარი სახლი დაუთმო და ბავშვებს ერთად, მორიგეობით უვლიან – მძიმე, აუტანელ ყოფას იმსუბუქებენ თავადაც და ცდილობენ, ბავშვებსაც დაეხმარონ. საკუთარი მწირი სახსრებით ბევრს ვერაფერს აკეთებენ და სწორედ იმ ჩინოვნიკების დახმარება სჭირდებათ, რომლებიც ორმაგი კარის მიღმა სხედან და ისე მეტყველებენ, როგორც ხელმწიფე ანტუან დე სენტ ეგზიუპერის „პატარა პრინციდან“ – კანონები აქვთ და კანონებს იცავენ.

ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ჩინოვნიკებისგან ბევრს არაფერს უნდა ველოდოთ. სანამ ყოველგვარ ზღვარს არ გადავლენ, ან სანამ უფრო ზემოთ მსხდომ ჩინოვნიკებს არ მოესურვებათ, იმ ორმაგკარიან კაბიტნეტებში სხვა ჩინოვნიკები იხილონ, მშვიდად და ბედნიერად აგრძელებენ მართვას.

არადა ქვეყანაში ბავშვები კვების დეფიციტის გამო იხოცებიან, – იუნისეფმა საშინელი სტატისტიკა გამოაქვეყნა: „საქართველოში ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 800 ბავშვი იღუპება. აქედან 300 ბავშვის გარდაცვალებას დედის ანემია, მცირეწონიანობა, არასრულფასოვანი კვება და ფოლიუმის მჟავის ნაკლებობისთან დაკავშირებული სხვადასხვა მანკი იწვევს. ბავშვთა სიკვდიანობის მაჩვენებლით ევროპის 44 ქვეყანას შორის საქართველო 42 ადგილასაა“ – ეს ამონარიდია თინა ყიფშიძის სტატიიდან „სიღარიბე, როგორც სასჯელი“, რომელსაც „ლიბერალის“ ამავე ნომერში წაიკითხავთ.

ჩვენ აქამდე არასდროს გამოვსულვართ ქუჩებში და მმართველებისთვის არ მოგვითხოვია ეზრუნათ იმაზე, რომ ადამიანები შიმშილით არ დახოცილიყვნენ. აქამდე სხვა, შეიძლება არანაკლებ მძიმე პრობლემების წინაშე ვიდექით.

სიცოცხლის უფლება აბსოლუტური უფლებაა. საქართველოში ბავშვებს ეს უპირველესი უფლება ეზღუდებათ.

გამართლებულია ასეთ დროს მშვიდად, ორმაგკარიანი კაბინეტების მიღმა გამოკეტილი ჩინოვნიკების იმედად ყოფნა? მგონია, რომ არა.

ნინო ბექიშვილი, აღმასრულებელი რედაქტორი

ვილნიუსის სამიტამდე

ჩაივლის თუ არა ვილნიუსის სამიტამდე საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებები წარმატებულად და მოხერხდება თუ არა, კოჰაბიტაციის პირობებში მოსახლეობისათვის სასარგებლო პოლიტიკის გატარება – ამ ფაქტორებს ევროკავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ევროკავშირმა თავის მოსახლეობასაც უნდა აუხსნას, რატომ უნდა მოხდეს ძალისხმევისა და თანხების ინვესტიცია აღმოსავლეთ ევროპის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკისათვის. ეს ნაბიჯი უპირველესად დასავლეთ ევროპაში მზარდი სკეპტიციზმით აღიქმება. – ერთი მხრივ, ფინანსური კრიზისისა და მეორე მხრივ, მოვლენების იმ საეჭვო განვითარების პირობების გამო, რომლებიც უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში დაიწყო და უკრაინასა და ბელორუსამდე გრძელდება.

სილვია შტიობერი
33.16

ვიოლა ფონ კრამონი: აქ ისტორია ყალიბდებოდა

ვიოლა ფონ კრამონი 2009 წლიდან გერმანიის ბუნდესტაგის წევრია გერმანიის მწვანეთა პარტიიდან. ის არის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრიც. კრამონი საქართველოს შესახებ ერთ-ერთი ყველაზე უკეთ ინფორმირებული დასავლელი პოლიტიკოსია. ის ამ ვიზიტის ფარგლებში ორი დღის განმავლობაში აფხაზეთშიც იმყოფებოდა.

„აზროვნების მანერით, ცხოვრების სტილით, თქვენი ისტორიით თქვენ მრავალფეროვანი, მრავალსახიანი ევროპის ნაწილი ხართ. მე აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ბევრი მეგობარი მყავს, რომელთანაც საერთო ენაზე ვსაუბრობ. მოკლედ, საქართველო ევროპაა. ეს არც კარგია და არც ცუდი. უბრალოდ, ასეა“.

ირაკლი აბსანძე
33.10

სიღარიბე, ჩოგბურთს სასჯელი

გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით საქართველოში ბავშვთა 9.4 პროცენტი ანუ 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მათზე დღეში მხოლოდ 2 ლარი იხარჯება. ბავშვთა 25 პროცენტი (205 000) შეფარდებით სიღარიბეშია და დღეში საარსებოდ დაახლოებით 3.60 ლარი აქვს. ზოგადად, ბავშვიანი ოჯახები უფრო განიცდიან სიღარიბეს, ვიდრე სხვები და უფრო ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დაცვით. ასეთი სიღარიბის ფონზე გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქე, ძირითადად ქალები და ბავშვები

კვების დეფიციტს განიცდის.

„ბავშვთა უფლებები არ აისახება სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში. ბავშვთა უფლებები ნიშნავს, რომ არის უფლება და მისგან გამომდინარე საჭიროები, რომელსაც სისტემა უნდა ერგებოდეს. რეალობაში პირიქითაა, გამოყოფილია რაღაც თანხა და ამ თანხის შესაბამისად ნაწილდება საჭიროებებზე. მაგალითად, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის ერთადერთი 40 ადგილიანი ცენტრი არსებობს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით 1500-მდე ქუჩის ბავშვია ქვეყანაში,“ – ამბობს ანა არგანაშვილი.

თინა ყიფშიძე
33.20

ანაბელი მშობლები დახმარების მოლოდინში

მშობლებმა მითხრეს, რომ საკვებითა და ტრანსპორტირების თანხით დახმარების თხოვნით, რამდენჯერმე სოფლის გამგებელსაც მიაკითხეს.

თუმცა, გამგებელი მათი ბედით არც დაინტერესებულა: "ზოგადად, ეს სოფელი და მთლიანად ქიზიყი უყურადღებობას მიჩვეული მხარეა, მაგრამ, რას წარმოვიდგენდით, რომ სოფელი საერთოდ არ დაგვიდგებოდა მხარში ერთხელაც არ მოსულა გამგებელი და არ დაინტერესებულა, როგორც ვართ. დღეს მაგალითად, ოთხი პური სახლიდან წამოვიღე, ხვალ სხვა მშობელი მოიტანს, მაგრამ, სახლში სხვა შვილებიც გვყავს, სოციალურადაც კი იმდენად გვიჭირს, რომ დიდი ხანი ასე ვერ გავძლებთ".

სოფო აფციაური
გვ.38

საზოგადოება

განსახლება დევნილობის 20 წლის შემდეგ

მალხაზ ჭკადუა
გვ.48

ნომერში:



ფოტო: ლევან ხერხეულიძე

04 მოკლედ
ორი აზრი
06 ბათუმში მომხდარი ინციდენტი იყო თუ არა ახალი ხელისუფლების სისტემური პრობლემა?
კომენტარი
08 რაში ვუხდით ლობისტებს?
ინტერვიუ
10 ვიოლა ფონ კრამონი: აქ ისტორია ყალბდებოდა
პოლიტიკა
16 ვილნიუსის სამიტამდე
მთავარი თემა
20 სიღარიბე, როგორც სასჯელი
ჟურნალისტური გამოძიება
26 დეპუტატი თოფაძე მეწარმე აბრამაშვილის წინააღმდეგ
ჯანდაცვა
32 საყოველთაო ჯანდაცვის ანატომია
35 მწეველები მეტს გადაიხდიან
საზოგადოება
38 ანაგელი მშობლები დახმარების მოლოდინში
44 ცემენტის მტვერში გახვეული არასრულწლოვანთა დაწესებულება
48 განსახლება დევნილობის 20 წლის შემდეგ
52 **ციტატები**

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი". მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი", გაზეთი „ლიბერალი"
„ლიბერალის" საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
შპს „სეზანი". მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ალექსეი ნავალნი ჩესეთის პრეზიდენტობას აპირებს

რუს ოპოზიციონერს და ცნობილ ბლოგერ, ალექსეი ნავალნის რუსეთის პრეზიდენტობა სურს. ამის შესახებ ნავალნიმ ტელეკომპანია „Дождь“-ის ეთერში განაცხადა.
ოპოზიციონერი ვლადიმერ პუტინისა და სხვა რუსი მაღალჩინოსნების წინააღდმეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ითხოვს. ბლოგერის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ რამდენიმე საქმეა აღძრული, რუსეთიდან გაქცევას არ აპირებს.
ალექსეი ნავალნი კიროვის ოქლის ბიუჯეტიდან 16 მილიონი რუბლის არმიზნობრივ ხარჯვასა და მისივე დაფუძნებული კერძო ფირმის მეშვეობით 55 მილიონი რუბლის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი. აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესი 17 აპრილს დაიწყება.

ღაზას სექტორში გაერო ჰუმანიტარული დახმარების ცენტრებს ხურავს

ღაზას სექტორში გაერო ჰუმანიტარული დახმარების ცენტრებს დროებით დახურავს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ერთ-ერთ ასეთ ცენტრს ჰუმანიტარული დახმარების მოცულობის შემცირებით გაღიზიანებული მოსახლეობა დაესხა თავს.
გაეროს სააგენტოში, რომელიც პალესტინელი ლტოლვილებისათვის დახმარების გაცემას უზრუნველყოფდა, ამბობენ, რომ ჰუმანიტარული დახმარების გაცემა იმ დრომდე არ განახლდება, სანამ მთავრობა ჰუმანიტარული ცენტრებისა და იქ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების გარანტიაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ აიღებს.
სააგენტოს თანამშრომლების ცნობით, ბოლო პერიოდში ცენტრებზე თავდასხმების შემთხვევები გახშირდა. ამასთან, ისინი ეჭვობენ, რომ აქციები წინასწარ არის დაგეგმილი.
ავტონომიის მმართველი მოძრობა – „ჰამასის“ პრეს-სპიკერიმა, აბუ ზუხრიმ ძალადობის ფაქტები დაგმო და სააგენტოს გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდა.
გაეროს სააგენტო ჰუმანიტარული დახმარებით ღაზას სექტორში მცხოვრებ 800 ათას პალესტნელს ძირითადად საკვები პროდუქტებითა და ტანსაცმლით ამარაგებს. ცენტრების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლები და სამედიცინო კლინიკები.
ამასთანავე, გაეროში ჰუმანიტარული დახმარების მოცულობის გაზრდის აუცილებლობაზე საუბრობენ, რადგან ბოლო პერიოდში პალესტინის ავტონომიაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სააგენტოს ცნობით მოსახლობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დამატებით 67 მილიონი დოლარია საჭირო.

ფუჯუშიმას სანვევის ავზის გამაბრილებელ სისტემას ხარვეზები აქვს

უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურის ერთ-ერთი რეაქტორის საწვავი ავზის გამაგრილებელი სისტემა გამოირთო.
როგორც პასუხისმგებელი პირები ამბობენ, განგაში პარასკევს შუადღისას დაიწყო, როდესაც მესამე რეაქტორზე გამაგრილებელი სისტემა გაჩერდა. მათივე თქმით, ტემპერატურამ რომ საშიშ ნიშნულს მიაღწიოს გამაგრილებელი სისტემა ორი კვირის განმავლობაში უნდა იყოს გაჩერებული.
წინა შემთხვევისას სისტემა ორი დღით იყო გამორთული. ფუკუშიმას სადგური 2011 წლის მარტში იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან ცუნამის შედეგად დაზიანდა.

ავღანეთში საბეშაბოზე თავდასხმისათვის ვიჩი გამოიყენეს

ავღანეთის ერთ-ერთ საგუშაგოზე აფეთქების შედეგად ერთი პოლიციელი დაიღუპა და სამი მშვიდობიანი მოსახლე დაიჭრა. ასაფეთქებელი მოწყობილობა ვირზე იყო დამონტაჟებული და როგორც პოლიცია ვარაუდობს დისტანციურად იმართებოდა.
ცხოველებს თავდასხმისათვის ადრეც იყენებდნენ, თუმცა მსგავსი თავდასხმები ავღანეთში საკმაოდ იშვიათია.

ICIJ-ის მონაცემებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ოფშორული ზონაში დარეგისტრირებული კომპანიაა დაკავშირებული

საგამოძიებო ჟურნალისტიკის საერთაშორისო კონსორციუმის (ICIJ) მიერ მოპოვებულ საიდუმლო დოკუმენტებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის გვარიც ფიგურირებს. ვაშინგტონში მოქმედი ჟურნალისტური ჯგუფის მონაცემებით, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „boSerston oversiz korporeiSni“, რომელიც აგენტის მეშვეობით პანამაში საქმიანობს, ივანიშვილთან არის დაკავშირებული.
CIJ-ს თანახმად, 2006-2009 წლებში ივანიშვილი ხსენებული კომპანიის დირექტორად ირიცხებოდა. ხუთშაბათს საგამოძიებო ჟურნალისტიკის საერთაშორისო კონსორციუმმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია იმ 130 ათასამდე მეანაბრის ვინაობა მსოფლიოს 170-ზე მეტი ქვეყნიდან, რომლებიც



ფულს ოფშორულ საბანკო ანგარიშებზე ინახავენ.
იმ პირთა შორის, ვინც ოფშორული საბანკო ანგარიშებით სარგებლობს, არიან რუსეთის ვიცე-პრემიერის, იგორ შუვალოვის ცოლი, აზერბაიჯანის პრეზიდეტი, ილჰამ ალიევი, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი.

საფრანგეთის პრეზიდენტს ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ

იმის შემდეგ რაც გაირკვა, რომ სოციალისტური პარტიის ფინანსისტი ჟან-ჟან ოჟე პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიას ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიებიდან აფინანსებდა, საფრანგეთში სკანდალი აგორდა.
ოჟე, რომელიც ფრანსუა ოლანდის წინასაპრეზიდენტო კამპანიის ფინანსებს ხელმძღვანელობდა, გაზეთ "ლე მონდთან" საუბრისას ამბობდა, მის ფინანსურ ოპერაციებში კანონსაწინააღმდეგო არაფერი ყოფილა. როგორც ოჟე ამტკიცებს, მას თავად კაიმანის კუნძულებზე პირადი ანგარიშები არ აქვს.
ოფშორული ზონიდან დაფინანსებას მედია ოლანდის ირგვლივ დაწყებულ ყველაზე სერიოზულ კრიზისად აფასებს. ახალი პრეზიდენტის მმართველობიდან 10 თვეში ფრანსუა ოლანდის მიმართ საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო ისმის უკმაყოფილება.
იმის გამო, რომ ეკონომიკური დაცემა გრძელდება და უმუშევრობა 10.6%-მდე ჯერჯერობით ვერ იწევს, საფრანგეთში ახალი პრეზიდენტის რეიტინგი მკვეთრად ეცემა.

იაპონელი მკვლევრები ამტკიცებენ, რომ სხვების სიზმრების წაკითხვა შეეძლებათ

იაპონელი მკველვრები ამბობენ, რომ მალე ადამიანების სიზმრების წაკითხვა შესაძლებელი იქნება.
ექსპერიმენტში მონაწილეებს ჩაძინებიდან მალევე აღვიძებდნენ და საკუთარი სიზმრების აღწერას სთხოვდნენ. მონაწილეთა მონაყოლს შემდეგ მათ ენცეფალოგრამას ადარებდნენ.
აღმოჩნდა, რომ მონაყოლები შესაბამის ენცეფალოგრამასთან კავშირი აქვს და მეცნიერების მტკიცებით გარკვეული დროის შემდეგ 60%-იანი ალბათობით გასაგები იქნება, რა სიზმარს ხედავს ადამიანი. გასაგები იქნება სიზმრის ზოგადი თემა და არა სიზმრის კონკრეტული სიუჟეტი.

ბულგარეთის პრეზიდენტის თხოვნით ბულგარეთში საამღლიანი ლოცვა იწყება

ბულგარეთის პრეზიდენტი მორწმუნეებს სუიციდისა და ნაციონალური პესიმიზმის გამო სამდღიანი ლოცვის თხოვნით მიმართავს. პრეზიდენტმა ეს სურვილი მას შემდეგ გამოთქვა, რაც შვიდმა ადამიანმა სიღარიბისა და კორუფციის გასაპროტესტებლად თავი დაიწვა.
სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების ლიდერები პრეზიდენტის თხოვნას უკვე დაეთანხმნენ. პარასკევის, შაბათისა და კვირის ჩათვლით სიღარიბისა და სუიციდის წინააღმდეგ ლოცვები ჩატარდება.
„სირთულეების გადასალახად ჩვენ ყველამ უნდა ვისწავლოთ გაკვეთილი და რწმენა გავიძლიეროთ. რწმენამ გადაარჩინა ჩვენი ერი საუკუნეების განმავლობაში. საკუთარი მომავლისა და სიძლიერეში ის ჩვენ ახლაც დაგვეხმარება." – ამბობს ბულგარეთის პრეზიდენტი.
წელს ბულგარეთში უკვე 200-მდე ადამიანმა მოიკლა თავი.

დიახ

კახა კოჟორიძე
საიას თავმჯდომარე

ბათუმში მომხდარი ინცი
ხელისუფლების სის

ეს იყო არა კერძო ინციდენტი, არამედ სისტემური პრობლემის შედეგი. თავისთავად ინციდეტი არაა პრობლემა, არამედ მტკიცებულებების განადგურება, მომხდარის სათანადოდ არწარმოჩენა, ხელის დაფარება, ცალმხრივი მიდგომა, რეაგირების დატოვება.

სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად ამ ინციდენტისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ცხადია, რეაგირებას ვგეგმავდი მაგრამ ვფიქრობდი, რომ ზოგადი ხასიათის განცხადებით შემოვფარგლულიყავით. მიგვემართა სამინისტროსთვის და გვეთხოვა, რომ ინციდენტი გამოეძიებინათ.

თუმცა, სანამ განცხადებას ვამზადებდით, მოგვივიდა ინფორმაცია, რომ პოლიცია უმექმედოდაა, მტკიცებულება ნადგურდება, ერთ-ერთი ობიექტის მფლობელი შეშინებულია და საქართველოდან წასვლა სურს, და ა.შ. ამ ინფორმაციებს სანამ გავასაჯაროებდით, შსს-ს და პროკურატურას ვანვდიდით, თუმცა რეაგირებას ვერ ვხედავდით. შემდეგ გამოქვეყნდა შსს-ს განცხადება, სადაც მხოლოდ საიას თანამშრომლის ბრალეულობაზეა საუბარი. ეს იყო არა კერძო ინციდენტი, არამედ სისტემური პრობლემის შედეგი. თავისთავად ინციდეტი არაა პრობლემა, არამედ მტკიცებულებების განადგურება, მომხდარის სათანადოდ არწარმოჩენა, ხელის დაფარება, ცალმხრივი მიდგომა, რეაგირების დატოვება... ამ ფაქტებმა გვაფიქრებინა, რომ ეს უფრო სერიუზული ამბავია, ვიდრე ორი ადამიანის შელაპარაკება.

ფაქტია, რომ გენერალურმა ინსპექციამ ვერ იმუშავა. არ ვიცი ვინ წერდა იმ განცხადებებს, რომლებიც შსს-ს ვებ-გვერდზე იდებოდა. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათი შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა.

ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ეს ცვლილება მხოლოდ ადამიანების შეცვლაში არ უნდა გამოიხატებოდეს. არამედ უნდა აისახოს მიდგომებზე, მიმართულებებზე, სისტემებზე...

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც სამინისტრო ხელახლა ყალიბდება და სტრუქტურა ახლიდან იქმნება, თავიდანვე სწორი ნაბიჯები გადაიდგას.

ჩვენ ველოდებით სამინისტროს პასუხს, ვალერიან თელიას ნარკიტიკებზე შემოწმებასთან დაკავშირებით. ჩვენს თანამშრომლებს გაუჩნდათ ეჭვი, ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, რადგან პოლიციელი არადეკვატურად იქცეოდა, როდესაც საიას თანამშრომელს ალკოჰოლზე ამოწმებენ, ლოგიკურია, რომ მეორე მხარეც შემოწმდეს.

შემდეგ თქვეს, რომ საია ჩასაფრებულის პოზიციიდან მოქმედებდა და ჩვენი საქმიანობა მიზნად შსს-ს დისკრედიტაციას ისახავდა, ეს ცალსახად არასწორია.

ჩვენ მოვლენების განვითარებას მივყვებით, მაქვს იდეა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დაკომპლექტების წესზე წინადადებები შევთავაზოთ. რომ მათ საქმიანობაში, მაგალითად, სახალხო დამცველის წარმომადგენელი ჩაერთოს, ან სხვა რაიმე მექანიზმზე ვიფიქროთ იმიტომ, რომ ამ ინციდენტმა სისტემური პრობლემა წარმოაჩინა.

ინციდენტი იყო თუ აჩა ახალი სისტემური პრობლემა?

არ უნდა შევიქმნათ ილუზია, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, იმ ადამიანების ცნობიერება, რომლებიც 9 წლის მანძილზე ფაქტიურად პოლიტიკურ ჟანდარმებად იქცნენ, ერთ დღეში შეიცვლება.

არა

გია ხუხაშვილი
საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

მომხდარი ფაქტი, რა თქმა უნდა, სისტემური გადმონაშთია, ეს იყო წინა ხელისუფლების სისტემური პრობლემა და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის. ჯერჯერობით ისევ ის პოლიციელები გვყავს, სადამსჯელო ინსტრუმენტებზე აპელირებასა და პოლიტიკურ ინტერესზე მუშობას იყვნენ შეჩვეულები.

უნდა გვესმოდეს, რომ სამწუხაროდ პოლიცია ერთ დღეში არ იცვლება, ასეთი ტიპის ორგანიზაციაში სისტემური პრობლემის აღმოფხვრა ერთ დღეში არ ხდება. არ უნდა შევიქმნათ ილუზია, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, იმ ადამიანების ცნობიერება, რომლებიც 9 წლის მანძილზე ფაქტიურად პოლიტიკურ ჟანდარმებად იქცნენ, ერთ დღეში შეიცვლება.

აქედან გამომდინარე, ხარვეზები, რა თქმა უნდა, გარდაუვალია, ეს რეალობაა და საზოგადოების აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რისკი იმისა, რომ საბოლოო ჯამში სისტემა შეიძლება შენარჩუნდეს, ძალიან მაღალია.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ სექტორშიც არანაკლები პრობლემები გვაქვს, რაც ამ დღეებში საია-ს მოქმედებებმაც აჩვენა. პირველ ეტაპზე მათი აქტიურობა იყო პოზიტიური და საზოგადოებისთვის სასარგებლო ელემენტებს ატარებდა, მაგრამ მეორე და მესამე დღეს ამ ყველაფერმა სამწუხაროდ კორპორატიული ომის სახე მიიღო. ერთის მხრივ, საიამ თემას გადაუხვია და ისეთ საკითხებზე დაიწყო საუბარი, რაც ინციდენტის ფარგლებს სცდებოდა, მეორეც, ისინი იცავდნენ თავის თანამშრომელს, რამაც მათ თუნდაც სამართლიან ბრძოლას არაჯანსაღი და ყალბი სახე შესძინა.

საზოგადოების აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა იმ ტიპის და იმ ფორმის, რასაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აკეთებს. ამ ბრძოლაში ისინი თავად მოგვევლინენ არა საზოგადოებრივი ინტერესების, არამედ საკუთარი ტყავის დამცველ კორპორაციად.

ჩვენს პოლიციას გაჯანსაღება სჭირდება, მაგრამ როგორც ჩანს, საზოგადოებრივი სექტორიც ძალიან დაავადებულია და მათაც სჭირდებათ ზრდა. საერთო ჯამში, საია-ს აქტიურობა არ ნიშნავს, რომ ეს უკრიტიკოდ უნდა მივიღოთ და ორგანიზაცია უპირობო ავტორიტეტად გამოვაცხადოთ.

სად ვუხდით ლობისტებს?

ხელისუფლებამ ლობისტურ კომანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები გაასაჯაროვა, თუმცა ჩვენ ისევ არ ვიცით, კონკრეტულად რაში დაიხარჯება გადასახადის გადამხდელთა თანხა.

ბეჟან სვანიძე

ბრიუსელი ის ქალაქია, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე ყველაზე მეტი ლობისტური კომპანია მოდის. Cambre Associate ბრიუსელში საკმაოდ ცნობილი ლობისტური კომპანიაა. გასათვალისწინებელია, რომ ის ბევრ სხვა კლიენტთან ერთად ისეთ ორგანიზაციებსაც უწევს მომსახურებას, რომლებიც ფარმაციის ბაზარზე გიგანტებად ითვლებიან, მაგალითად: შვეიცარიული Novartis, ირლანდიური ჩოვიდიენ და შვედურ-ბრიტანული GlaxoSmithKline-ც გამოდგება. აღნიშნულ კომპანიასა და ევროპულ და ევროატლატიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს ბოლო წლებია კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ. ევროკომიის Transparency register-ის მიხედვით Cambre Associate-მა საქართველოს ხელისუფლებას (კონკრეტულად კი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს) 2012 წლის ფისკალურ წელს უკვე გაუწია მომსახურება, რომლის ფასიც 100,000-დან 150,000 ევროს ფარგლებში მერყეობდა.

2004 - 2012 წლებში ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო ქვეყნის იმიჯზე ზრუნვას. ქვეყნის შიგნით თავად ხელისუფლება ზრუნავდა რენომეზე, გარეთ კი ამ საქმეში საკონსულტაციო, გნებავთ ლობისტური კომპანიების დახმარებასაც არ ერიდებოდა. ბოლო 9 წლის მანძილზე საქართველოს მთავრობამ უარმავი ლობისტური კომპანიის სერვისით ისარგებლა. კონტრაქტების ხანგრძლივობა ძირითადად 6-დან – 12 თვემდე მერყეობდა, მომსახურების თანხა კი 180,000 აშშ დოლარიდან 470, 000 აშშ დოლარამდე. ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები საჯარო არასოდეს ყოფილა. თუმცა ქვეყანაში, სადაც კულტურის მინისტრის რუსი კოლეგისთვის გაგზავნილი წერილი, რომელსაც გრიფით საიდუმლო არ ედო, საგულდაგულოდ იმალებოდა, ლობისტურ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ უბრალო მოკვდავთ რომ არაფერი სცოდნოდათ, ნამდვილად არ არის გასაკვირი. ამ კომპანიებთან გაფორმებულ სამომსახურებო ხელშეკრულებებში ჩაწერილი სერვისის დასახელება, ზოგადი და ბუნდოვანი იყო. მაგალითისათვის ერთგან ეწერა: „საქართველოს მთავრობის რეპუტაციის გაზრდაზე ზრუნვა“, მეორეგან „პრეზიდენტისათვის რჩევების მიცემა“ და სხვ.

ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები საჯარო არასოდეს ყოფილა. თუმცა, ქვეყანაში სადაც კულტურის მინისტრის რუსი კოლეგისთვის გაგზავნილი წერილი, რომელსაც გრიფით საიდუმლო არ ედო, საგულდაგულოდ იმალებოდა, ლობისტური კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ უბრალო მოკვდავთ რომ არაფერი სცოდნოდათ, ნამდვილად არ არის გასაკვირი.

ლობისტური კომპანიებთან ხელშეკრულებებს ძირითადად საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო აფორმებდა და ისინი უმთავრესად ბრიუსელიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან იყვნენ. ლობისტური კომპანიების სახელები შეიძლება ბევრს არაფერს გეუბნებოდეთ – Public Strategies, Aspect Consulting, Kreab & Gavin Anderson; აშშ-დან – Glovel Park Group, Gephardt Government Affairs (ეს უკანასკნელი აშშ-ს დემოკრატიული პარტიის ყოფილ გავლენიან წევრს რიჩარდ გეპჰარდს ეკუთვნის).

კაცმა არ იცის, რა ეწერა იმ კონტრაქტებში და რაში იხარჯებოდა ეს თანხა, თანხა, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან მიდიოდა, იქ კი საქართველოს მოქალაქეებს, უბრალო გადასახადის გადამხდელებს შეჰქონდათ. დღესაც არ ვიცით, რა გაკეთდა იმ რამდენიმე მილიონით, რაც ამ ლობისტურმა კომპანიებმა ბიუჯეტის გავლით ჩვენი ჯიბიდან წაიღეს – რამდენად აამაღლეს მათ ჩვენი მთავრობის იმიჯი, თუ აამაღლეს, ვის თვალში ამაღლდა და რა ურჩიეს ისეთი პრეზიდენტს, რაც ამხელა თანხად დაგვიჯდა. ამაზე საჯაროდ წინა ხელისუფლებას არასოდეს უსაუბრია, ახლანდელი მოდური სიტყვა რომ გამოვიყენოთ, ხელშეკრულებების „გასაჯაროება“ არასოდეს მომხდარა. კონტრაქტის ტექსტებს რომ თავი დავანებოთ, მათ არსებობას მოსახლეობა მხოლოდ მას შემდეგ იგებდა, რაც ამის შესახებ ინფორმაცია, რომელიმე უცხოურ მედია საშუალებაში გამოჩნდებოდა ან მაგალითად აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი გაასაჯაროებდა.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მერე სურათი ამ ფრონტზეც შეიცვალა. ცნობილი ამბავია, ქვეყნის პრემიერ მინისტრი დასაწყისში დიდად ეწინააღმდეგებოდა ლობისტურ კომპანიების დაქირავებას, მაგრამ თებერვალში საქართველოს ხელისუფლებამ ორ ლობისტურ კომპანიასთან ხელშეკრუებები მაინც გააფორმა. როგორც თავად პრემიერ-მინისტრმა განაცხადა – მათი მომსახურება იაფი იქნებოდა და საქართველოს ხელისუფლებას ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციის საკითხებში დაეხმარებოდნენ.

ახალი ხელისუფლება წინასგან განსხვავებულ გზას დაადგა და ინფორმაცია ხელშეკრულებების შესახებ, ისევე როგორც მომსახურების საჭირო თანხა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა საკუთარი ჯიბიდან ბიუჯეტის გავლით გადაიხდის, გაასაჯაროვა.

კონტრაქტი ორ ლობისტურ კომპანიასთან გაფორმდა. ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მდებარე Cambre Associate-თან ხელშეკრულებას ევროპულ და ევროატლანტიკულ ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ხელი 2013 წლის 18 თებერვალს მოაწერა. კონტრაქტიდან, რომელიც სულ ხუთგვერდიანია, ვიგებთ რომ აღნიშნული კომპანიის სერვისი ექვსთვიანია, გაგრძელების შესაძლო პერსპექტივით. მომსახურების სანაცვლოდ საქართველოს მოსახლეობას ყოველთვიურად 40 000 ევროს გადახდა მოუწევს (შეიძლება თანხის მოცულობა თვეში 48 000 ევრომდეც გაიზარდოს თუ ამას საქართველოს მხრიდან აღნიშნული უწყება დათანხმდება).

ცალსახაა ამ ხელშეკრულებისათვის დღის სინათლეზე გამოტანისთვის ახალი ხელისუფლება შექების ღირსია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დოკუმენტში არ არის ნათლად განსაზღვრული, თუ კონკრეტულად რაში ვუხდით ჩვენ, გადასახადების გადამხდელები საქართველოს ბიუჯეტის გავლით Cambre Associate-ს თვეში 40 000 ევროს (ან 48 000-ს). ხელშეკრულების მეოთხე მუხლში წერია, რომ საქართველოს ხელისუფლება, მას შემდეგ გადაურიცხავს თანხას ბელგიაში რეგისტრიებულ კომპანიას, რაც ეს უკანასკნელი ყოველთვიურ დეტალურ ანგარიშს წარმოადგენს. ის თუ კონკრეტულად რას გააკეთებს (ან რა გააკეთა), Cambre Associate სწორედ ამ ყოველთვიურ დეტალურ ანგარიშში გამოჩნდება.

შესაბამისად, აქ არის სწორედ ყველაზე საინტერესო ნაწილი. ხელშეკრულების გამოქვეყნება თავისთავად ძალიან კარგია, თუმცა ჩვენთვის, გადასახადის გადამხდელებისათვის არ ჩანს თუ რაში ვიხდით თანხას – ეს კი იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება გამჭვირვალობის მანდატით ავირჩიეთ, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით, ველით, რომ სწორედ ის ყოველთვიური დეტალური რეპორტების განსაჯაროება მოხდეს, რათა დავინახოთ თუ რაში იხარჯება და იხარჯებოდა საბიუჯეტო თანხები, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში ჩვენი, გადასახადების გადამხდელების ჯიბიდან მიდის.

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

ფოტო: ლევან ხარბულიძე

ვიოლა ფონ კრამონი: აქ ისტორია ყალიბდებოდა

ინტერვიუ გერმანიის ბუნდესტაგის წევრთან მწვანეთა პარტიიდან
ვიოლა ფონ კრამონთან

ვიოლა ფონ კრამონი 2009 წლიდან გერმანიის ბუნდესტაგის წევრია გერმანიის მწვანეთა პარტიიდან. ის არის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრიც. კრამონი საქართველოს შესახებ ერთ-ერთი ყველაზე უკეთ ინფორმირებული დასავლელი პოლიტიკოსია. ის ამ ვიზიტის ფარგლებში ორი დღის განმავლობაში აფხაზეთშიც იმყოფებოდა.

თქვენ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრეც იმყოფებოდით საქართველოში. დღეს რაიმე გასხვავებას ამჩნევთ?

მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ არჩევნებამდე ქვეყანაში ძალიან დაძაბული ვითარება იყო. შეუძლებელი იყო სამინისტროებში რომელიმე ოფიციალური პირის ნახვა, რომელიც თავით-ფეხებამდე არ იყო ჩართული წინასაარჩევნო პროცესში. იგრძნობოდა, რომ ყველანი დიდ წნეხს განიცდიდნენ.

ეს ნორმალურია?

არა. ვფიქრობ, ყველაფერი ზედმეტად პოლიტიზირებული იყო. პროპაგანდის მანქანა გამალებით მუშაობდა, თუმცა მგონია, რომ ადამიანები ამას უკვე კარგად ხედავდნენ. ამჩნევდნენ, რომ ტელევიზიით ზედაპირულ, ზერელე გზავნილებს ისმენდნენ. შინაარსობრივად ახალ შეთავაზებებს მმართველი ძალისგან ვერ ღებულობდნენ. ამჯერადაც ბევრი ვიმოგზაურე საქართველოში, ბევრ ადამიანს შევხვდი და ამან შემიქმნა ეს წარმოდგენა.

ციხის კადრები ანტიპროპაგანდა იყო?

რა თქმა უნდა, არ მჯერა, რომ არჩევნებამდე 10 დღით ადრე ეს კადრები შემთხვევით გამოქვეყნდა. მეორე მხრივ, ყველა ისედაც ეჭვობდა, რომ ციხეებში ყველაფერი წესრიგში არ იყო. ყველამ იცოდა, მაგრამ ასეთი თვალსაჩინო არ იყო პრობლემა, ასე სააშკარაოზე არ იყო გამოტანილი. ჩვენც ვიცოდით ციხეებში არსებული კატასტროფული ჰუმანიტარული ვითარების შესახებ; რომ ციხეები გადავსებული იყო; რომ არ იყო საკმარისი საწოლები, მაგრამ ცვლილება რეალურად არავის მოუთხოვია. ამ ვიდეოების გამოქვეყნების შემდეგ პრობლემებისგან თავის არიდების, თვალის დახუჭვის საშუალება აღარ დარჩა.

სააკაშვილის მიმართ პირველი იმედგაცრუება როდის გქონდათ?

მგონი, ყველაზე გვიან, 2007 წელს მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის შემდეგ. შემდეგ იყო პირველი მოპარული არჩევნები. მაშინ იმედგაცრუების გრძნობა მხოლოდ სააკაშვილის მიმართ არ მქონია. ასევე ვუყურებდი საერთაშორისო თანამეგობრობასა და დამკვირვებლებსაც, ვინც არჩევნების გაყალბებაზე თვალი დახუჭეს. არჩევნების შემდეგ ბევრ მათგანთან საუბრის საშუალება მქონდა. ისინი მეუბნებიან, რომ თავად არ დაუმალავთ არჩევნების გაყალბება, მაგრამ ძალიან მაღლა, დარღვევების ანგარიშებში შეტანას ბლოკავდნენ. ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან მიშას ამით ლეგიტიმაციის მორიგი პერიოდი მიეცა, რომელიც, წესით, აღარ ეკუთვნოდა.

იმედგაცრუების გრძნობა მხოლოდ სააკაშვილის მიმართ არ მქონია. ასევე ვუყურებდი საერთაშორისო თანამეგობრობასა და დამკვირვებლებსაც, ვინც არჩევნების გაყალბებაზე თვალი დახუჭეს.

როგორ ფიქრობთ, წინა ხელისუფლების ლობისტები მუშაობდნენ ამ მიმართულებით?

დიახ, და ძალიან სისტემატურად. პრეზიდენტი მუდმივად ქვეყნის მოდერნიზებაზე საუბრობდა, მაგრამ არსობრივ რეფორმამდე არ მიდიოდა ხოლმე საქმე. ეს იყო პროპაგანდა ლობისტური მხარდაჭერით. მისთვის ყველა მნიშვნელოვან დედაქალაქში ლობისტები ძალიან აგრესიულად მუშაობდნენ.

პირადად თქვენთანაც იყო ამის მცდელობა? როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ეს პროცესი?

დიახ, იყო. პროცესი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: როცა ვინმე მედიაში მთავრობისადმი კრიტიკულ კომენტარს აკეთებდა ან კითხვებს სვამდა, მაშინვე იწყებოდა ზარები, წერილები, რომ ქვეყანას უსამართლოდ ექცევი, რომ ანგაჟირებული ხარ; საკმაოდ სერიოზული ზეწოლაა.

ლობიზმი ბოლო დროს საქართველოში დისკუსიის თემაა. ბევრს წერენ, რომ წინა ხელისუფლება ბიუჯეტის ფულით ქირაობდა ლობისტებს, ისინი კი, შემდეგ ვიწროპარტიულ ინტერესებს იცავდნენ. თქვენც ასეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ?

დიახ. ეს იყო კონკრეტულ პიროვნებებზე, პარტიაზე და არა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე გათვლილი ლობიზმი. ამ ტენდენციის გაგრძელებას ახლაც ცხადად ვხედავ, მაგალითად, ახალ ელჩებთან დაკავშირებულ საკითხებში. პრეზიდენტი უნდა ხვდებოდეს, ელჩები ქვეყნის ინტერესების დასაცავადაა საჭირო და ამ პროცესის დაბლოკვით ის არასახელმწიფოებრივად იქცევა. ძალიან მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ თუ ქვეყნის ევროპასთან, დასავლეთთან დაახლოვება გინდა, არ უნდა შეაფერხო ამ ქვეყნებში საელჩოების მუშაობის პროცესი. ელჩების საკითხზე ყველა მხარე შეთანხმებულია, მხოლოდ პრეზიდენტი ბლოკავს და ამით მხოლოდ მთავრობას კი არა, ქვეყანასაც აზარალებს. ასეთი ფაქტების გამო არ მჯერა, რომ პრეზიდენტი ქვეყნის ინტერესით ირჯება და არა ვიწროპარტიულით.

საქართველოს ყოფილ ელჩს გერმანიაში, ქალბატონ ფონ ჰაბსბურგს პირადად იცნობთ?

ყველაზე რბილად რომ ვთქვა, ამ ელჩის მუშაობა არ წაადგა გერმანულ-ქართულ ურთიერთობას. ის ძალიან არაკორექტული იყო პირადად ჩემ მიმართ. ზუსტად ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ქალბატონ ფონ ჰაბსბურგს ყველა პოლიტიკოსის მიმართ, ვინც კრიტიკულ შეკითხვებს სვამდა, მაგალითად, დიტერ ბოდენი. ის სრულიად არ იყო ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, არ ფლობდა ენას; ალბათ, ვერ ეცნობოდა ქართულ მედიას. სრულიად ცხადია, რომ ის გერმანიაში ქვეყანას კი არა, პრეზიდენტს წარმოადგენდა. ჩემთვის ეს ქვეყნის სახელმწიფოებრივად შეუმდგარობის მაგალითი იყო. როცა ქვეყანას წარმოადგენს ელჩი, რომელსაც არა აქვს ამ ქვეყნის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა. ის, ფაქტობრივად, პრეზიდენტის სპიკერი იყო. ასე დიდი ხანი ვერ გაგრძელდებოდა.

ლობისტებს დასავლური მთავრობებიც ქირაობენ? როგორ ხდება ეს გერმანიაში?

ჩვენთან ლობიზმი ასეთი აშკარა არაა. ჩვენ არ ვქირაობთ სააგენტოებს, რომელიც, მაგალითად, ვაშინგტონში ჩვენს საგარეო ინტერესებს დაიცავს. სავაჭრო პალატები გვაქვს, დიდი ფირმები და კომპანიები, რომელიც მთელს მსოფლიოს არიან მოდებული. Soft Power-ით ვცდილობთ გერმანული ხარისხის, Made in Germany-ის პოპულარიზაციას. ამ ბიზნეს-ინიციატივებს სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ახალისებს, მაგრამ ეს არ არის წმინდა წყლის ლობიზმი, ყოველთვის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთანაა კავშირში.

ჩემი ევროპაში მომუშავე კოლეგები ამბობენ, რომ სააკაშვილმა და ივანიშვილმა მათ შორის არსებული კონფლიქტის ევროპულ დონეზე გადატანა მოახერხეს.

უსამართლობაა ამაში ივანიშვილის დადანაშაულება. ეს კონფლიქტი სააკაშვილსა და ივანიშვილის კონფლიქტი კი არაა, არამედ ნაციონალური მოძრაობის პრობლემაა, რომელსაც ხელისუფლებისა და გავლენის დაკარგვის ეშინია. ეს საკითხი დასავლეთში ტრანსპორტირდა, როგორც ივანიშვილის შიდაპოლიტიკური პრობლემა. ეს სრულიად მცდარი წარმოდგენაა. სწორედ ამაზე საუბრობს შვეიცარიის ელჩი, ბატონი ბეჰლერი ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ღია წერილში. მოძველებული, კაგებეს მეთოდია, ევროპის სახალხო პარტიისგან დაწყებული კამპანიაც. ისინი სააკაშვილს ენდობიან, მაგრამ სრულიად არა აქვთ წარმოდგენა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. მე მრცხვენია, რომ ევროპარლამენტის გერმანელი წევრებიც ამ საქმეში არიან ჩართულები, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წერილს მხოლოდ 23 ადამიანი აწერს ხელს, ევროპარლამენტში კი 700-ზე მეტი დეპუტატია. ეს არ არის ბევრი. სხვა მხრიდან რომ შევხედოთ, დანარჩენები ან ღია არიან ახალ მთავრობასთან ურთიერთობისთვის, ან, შეიძლება ითქვას, დადებითადაც არიან განწყობილები. ჩემი აზრით, ახლა ახალმა მთავრობამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები კარგად უნდა გააცნოს ამ დეპუტატებს, უნდა უთარგმნონ აქ არსებული ვითარება. უნდა დაიწეროს პრესრელიზები, საქართველოს სამინისტროებმა უნდა გააცნონ თავიანთი საქმიანობა დაინტერესებულ დეპუტატებს. ამით, შესაძლოა, გადაიფაროს ის სიცრუე, რაც ევროპარლამეტში ტრანსპორტირდა.

როგორ წარმოგიდგენიათ, რამ გააერთიანა წერილზე ხელმომწერი 23 პარლამენტარი? ლობისტების მცდელობამ?

შავისა და თეთრის, ბოროტისა და კეთილის კონცეფცია ჯერ კიდევ კარგად მუშაობს ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში. განსაკუთრებით პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებსა და ხანდახან შვედეთშიც კი. ხელმომწერებს, როგორც ჩანს, ახლო ურთიერთობა აქვთ ამ ქვეყნების პრეზიდენტებთან და სხვა ლიდერებთან, მათ თბილი პირადი ურთიერთობა აქვთ. როცა ამ დეპუტატების რომელიმე თანამშრომელი იტყვის, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში რაღაც საინტერესო ხდება, ისინი თითქმის ავტომატურად იჭერენ თავიანთი პირადი ნაცნობების მხარეს. „ქართული ოცნების“ მთავრობამ და საპარლამენტო წარმომადგენლობამ, ვინც არჩევნების შემდეგ ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა აიღეს, გააცნობიერეს, რომ საკმარისი არაა მხოლოდ დასავლურ დედაქალაქებში მუშაობა. მათ არ უნდა დაარღვიონ ევროპული ღირებულებები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ისეთი ადამიანები, როგორიც, მაგალითად დავით უსუფაშვილი ან ირაკლი ალასანია არიან, ამ რწმენას უფრო მიმტკიცებს. ვფიქრობ, ივანიშვილი კომპრომისებისთვის მზადაა. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებულმა პროცესმა ეს ჩემთვის კიდევ ერთხელ დაადასტურა. მან მეტიც კი დათმო, ვიდრე მრჩევლებს უნდოდათ. პრემიერმა ივანიშვილმა ახალაიას სასამართლო პროცესზე დასასწრებად დასავლელი დამკვირვებლები მოიწვია. გახსოვთ ასეთი რამ ბოლო წლების განმავლობაში? ის ძალიან ნაყოფიერად თანამშრომლობს ტომას ჰამემბერგთან. ყველაფერი ეს განასხვავებს ივანიშვილის კოალიციას ერთიანი ნაციონალური მოძრაობისაგან. ვხედავ შეცდომებსაც, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ ამ შეცდომების აღიარებაც შეუძლიათ. ნაციონალური მოძრაობისგან განსხვავებით, რომელიც სულ მართალი იყო. ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ აქვს საკუთარ შეცდომებზე სწავლისა და გაზრდის შანსი. ევროპიდან ბევრი მრჩეველია ჩამოსული და ბევრიც აპირებს. ამას ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის უარყოფდა. მათ არ უნდოდათ ნეიტრალურ ადამიანებს ჩაეხედათ სამზარეულოში. ეს კარგად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაციების, მაგალითად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშებშიც. ივანიშვილს, თავისი სიმდიდრის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ბევრი სუსტი წერტილიც აქვს, მაგრამ პოლიტიკურად, ადამიანებისგან გამომდინარე, ვინც მან გვერდით დაიყენა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის სახელმწიფოებრივად ფიქრობს.

ვილნიუსის სამიტისგან საქართველოში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას ელოდებიან. 23-ხელმონერიანი წერილის ავტორები „ლიბერალთან“ ინტერვიუშიც ამბობენ, რომ ხელშეკრულების გაფორმება პირდაპირაა დაკავშირებული მათ მოთხოვნებთან. თქვენც ხედავთ ამ კონტექსტურ ბმას?

გაიხსენეთ, რას ამბობს ევროკომისარი გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე. მან თქვა, რომ საქართველომ უკვე ბევრს მიაღწია. ძალიან მკაფიოდ ჩამოთვალა, რაც ჯერ კიდევ გასაკეთებელია, მაგრამ ასევე მკაფიოდ თქვა, რომ ამ მიმართულებით გარჯა ღირს. როცა ევროკომისია ასეთ პოზიტიურ დასკვნას აკეთებს, ეს ბევრად მეტია, ვიდრე 23 დეპუტატის აზრი. გადათვალეთ, რამდენს არ მოუწერია ხელი. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ევროპის პარლამენტს 700-ზე მეტი წევრი ჰყავს. ჩემთვის ბევრად მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანის ხელმოწერილი დოკუმენტი, როგორიც, მაგალითად ტომას ჰამერბერგია. მე ამ დღეებში მთავრობის ბევრ წარმომადგენელთან მქონდა შეხვედრა და მათ პროფესიონალიზმზე, პასუხისმგებლობის გრძნობაზე მაღალი წარმოდგენა დამრჩა. პოზიტიურად გაკვირვებული დავრჩი.

როგორ ფიქრობთ, სააკაშვილთან მიმართებაში მსოფლიო ბოლო წლების განმავლობაში თავს იტყუებდა?

ჩემი აზრით, ბევრი ფაქტორი მუშაობდა ერთდროულად. როცა ადამიანს კარგად იცნობ, მას საკუთარი თავის კარგად წარდგენა, კარგად „გაყიდვა“ შეუძლია,

კარგი ინგლისურით ლაპარაკობს, ქარიზმატულია, დასავლურ მენტალიტეტში კარგად ერკვევა, წინასწარ ფორას აძლევ. გარკვეულ ეტაპამდე შეცდომებზე თვალსაც ხუჭავ. მით უმეტეს, რომ მმართველობის პირველ წლებში მან ბევრი ისეთი რამ გააკეთა, რითიც რეგიონის ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. მაგალითად – პატრულის რეფორმა. მან დასავლეთის ქვეყნებიდან კარგად განათლებული, მოტივირებული ადამიანების საქართველოში დაბრუნება და საქმეში ჩართვა მოახერხა. ყოველივე ამის გამო, დასავლეთში ფიქრობდნენ, დიახ, არსებობს პრობლემები დემოკრატიაში, კაპიტალის აკუმულირება ხდება, მაგრამ რაღაცეები უნდა ვაპატიოთ. ბევრ პოლიტიკოსზე მისი მკვეთრად ანტი-პუტინური რიტორიკაც ახდენდა გავლენას. ამ მხრივ, სააკაშვილს ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი შესანიშნავ მოკავშირედ მიიჩნევდა.

ევროპის გადასახედიდან ეს წარმატებული ამერიკული პროექტი არ იყო?

დიახ, სააკაშვილი მკვეთრად ამერიკული ყაიდის პოლიტიკოსის იმიჯს ფლობდა. ლიბერტარიანული მოსაზრებები დასაქმების ბაზართან, სოციალურ საკითხებთან მიმართებაში ბევრად უფრო ამერიკულია, ვიდრე ევროპული. ნატოში გასაწევრიანებლად აგრესიული რიტორიკაც ამის დასტურია. სააკაშვილისთვის ნატო უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ევროპა. ნატოში საქართველო გაწევრიანდება, მაგრამ ჯერ არ დამდგარა ამის დრო.

ანუ, თქვენ საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანებაზე მნიშვნელოვნად ევროკავშირთან დაახლოება მიგაჩნიათ?

ვწუხვარ, მაგრამ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას უახლოეს მომავალში ევროპის ქვეყნების უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს. სანამ ტერიტორიული კონფლიქტები მოუგვარებელია, სანამ რუსეთთან ურთიერთობა არ გაქვთ დარეგულირებული, ეს არარეალურად მიმაჩნია.

თქვენი აზრით, საქართველოს აქვს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა?

სამოქმედო გეგმა არსებობს. მე ამ საკითხის ექსპერტი არ ვარ და ბევრ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა ვხედავ, რა აქტიურად მონაწილეობს საქართველო ნატოს სამშვიდობო მისიებში. ეს პოზიტიური ნიშნებია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრი გახდება. ჯერჯერობით, პროგნოზი შეუძლებლად მიმაჩნია.

სად არის ზღვარი ვიზიონერობასა და რეალობიდან აცდენას შორის? გსმენიათ ლაზიკის პროექტის შესახებ?

ჩემი აზრით, საქართველომ ევროპელებს აფხაზებთან და ოსებთან, დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე, პირდაპირი კონტაქტის საშუალებაც უნდა მოგვცეს. ეს მათ რუსეთზე დამოკიდებულებას შეასუსტებს, რაც საქართველოს ინტერესებშიცაა. ასე რომ, გამოსავალი პატარ-პატარა ნაბიჯებით სიარულია.

დიახ, მსმენია. სრულიად აბსურდული ამბავია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი დასავლელი კოლეგების უმრავლესობა, ვისაც ვხვდები ხოლმე, არ იცნობდა ამ ინიციატივას.

კოლხეთის ეროვნული პარკისთვის ეკოლოგიურ პრობლემებზე რომ არ ვისაუბროთ, სრულიად წარმოუდგენელია ასეთი პროექტის განხორციელება 4 მილიონიანი საქართველოსთვის, რომელსაც უამრავი გამოწვევა აქვს. საქართველო, ცივი ომის ინერციით, სტრატეგიული პუნქტია, მაგრამ სააკაშვილის რეალობას დაშორებული იდეებისთვის ფულს არავინ გადაიხდის. ამას წინათ გავიგე, რომ ლაზიკის პროექტისათვის გარკვეული ფინანსები მსოფლიო ბანკს გამოუყვია. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ამ ჭკუასმოკლებულ იდეებს ასეთმა ინსტიტუციამ დაუჭიროს მხარი? მე ამას აუცილებლად მოვიკითხავ მსოფლიო ბანკში. სააკაშვილს უყვარდა ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებისა და მდიდარი, ლამაზი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა ამ მშვენიერ ადგილას ფუტურისტული ქალაქის მშენებლობა, სადაც თვითონ ხშირად იფრენდა, სტუმრებსაც დაპატიჟებდა ხოლმე და ცხოვრება იქნებოდა მშვენიერი. წარმოუდგენელია ეს ყველაფერი, როცა ირგვლივ ადამიანებს წყალი არა აქვთ. ეზოში დაგროვილი წყლით რეცხავენ სარეცხს. როგორ წარმოგიდგენიათ, ლაზიკის მეზობლად მცხოვრები ადამიანებიდან რამდენი შეძლებდა თუნდაც ფინჯანი ყავის დალევას იმ ხუთვარსკვლავიან სასტუმროების ფოიეებში? ამიტომ ჩემთვის გამოცანად რჩება ამ ავადმყოფურ იდეას როგორ დაუჭირა მხარი მსოფლიო ბანკმა. აუცილებლად უნდა მოვიკითხო.

აქ საუბრობენ, რომ ახალ ხელისუფლებაში რესპუბლიკელები უფრო პროევროპულები არიან, ალასანიას გუნდი – უფრო პროამერიკული. ბერლინიდანაც ასე ჩანს?

არა მგონია ასეთი დაყოფა არსებობდეს. ჩემი აზრით, უსუფაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ შეერთებული შტატები ისეთივე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პარტნიორია საქართველოსთვის, როგორც ევროკავშირის ქვეყნები.

შეიძლება ითქვას, რომ სააკაშვილის ფავორიტი აშშ იყო ევროპის ინტერესების ხარჯზე?

დიახ, ის ჩვენ გვლანძღავდა კიდეც. მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშაძემაც გაგვლანძღა ერთ-ერთ შეხვედრაზე.

გაგლანძღათ? თბილისში?

დიახ. სრულიად წარმოუდგენელი ვითარება იყო. ბატონ ვაშაძეს მე და ჩემი ბუნდესტაგელი კოლეგები ვხვდებოდით. ჩემმა კოლეგამ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან მითხრა, შეხვედრა დავტოვოთო.

ქრისტიან-დემოკრატებიდან? ეს ხომ მემარჯვენე პარტიაა, რომელთანაც ნაციონალურ მოძრაობას თითქოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

გერმანული მხრიდან შეხვედრის მოდერატორი მე ვიყავი. ქრისტიან დემოკრატმა კოლეგამ მითხრა, აზრი არა აქვს, შეწყვიტეთ შეხვედრა და აქაურობა დავტოვოთო.

არადა გრიგოლ ვაშაძეს გამოცდილ დიპლომატად მიიჩნევენ.

ბატონი ვაშაძე ცუდ ხასიათზე იყო, გერმანელების დანახვა არ უნდოდა, ჩვენი ბრალი იყო, რომ ბუქარესტის სამიტმა იმედები არ გაუმართლა.

ამბობდა, რომ პატარ-პატარა ინიციატივები არ აინტერესებს, დიდი პროექტები უნდა, 2008 წლის ომში სათანადოდ ვერ დავუჭირეთ მხარი. სრულიად უპასუხისმგებლოდ მოიქცა მინისტრი იმ შეხვედრაზე.

ჩემი აზრით, ასევე უპასუხისმგებლოდ მოიქცა სააკაშვილის გუნდი 2008 წელს. ამასვე ამბობდა თავის დასკვნაში ჰაიდი ტალიავინი. მაშინ მე ქალბატონ ტალიავინის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ვკითხე კიდეც, ხომ არ იქნებოდა სასარგებლო, ეს დასკვნა ქართულადაც გამოქვეყნებულიყო. ქართველების უმრავლესობამ არ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში. მან მიპასუხა: რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ამისთვის საჭირო თანხა არა გვაქვსო. მაშინ მე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვკითხე, ხომ არ ექნებოდათ ამის შესაძლებლობა. ისინი დამთანხმდნენ, მაგრამ, როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ მოვიკითხე, ითარგმნა თუ არა უკვე, მიპასუხეს – არა, ქართველებს არ უნდათო.

ეს არის სიმართლე. აქ ისტორია ყალბდებოდა და მთავრობა ამას არ შეწინააღმდეგებია.

ივანიშვილს პრორუსად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ქვეყანამ დასავლური კურსიდან გადაუხვია და რუსეთისკენ აიღო გეზი. ხედავთ საამისო ნიშნებს?

ნაციონალური მოძრაობის წევრებთან ამ საკითხზე ხშირად ვკამათობდი. ვკითხულობდი-ხოლმე – რატომ ართმევდნენ ქვეყანას ეკონომიკური განვითარების დიდ პოტენციალს და რუსეთისკენ მიმავალ ყველა გზას ჭრიდნენ. ისინი მპასუხობდნენ, რომ ამაყობდნენ ამ დამოკიდებულებით, რომ მათ ახალი ბაზრები დაიპყრეს და ა.შ. ცხადია, ეს არ იყო სიმართლე.

ამიტომაც, არჩევნებამდე ვუთხარი კიდეც ივანიშვილს, რომ თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია უდიდესი მეზობლისგან აბსოლუტური იზოლირება. რუსეთი თქვენი მეზობელია და ამ საკითხს პრაგმატულად უნდა მიუდგეთ.

მაგრამ, რუსეთს ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი აქვს ოკუპირებული. ოკუპანტია და ამ ფაქტს ვერ გავექცევით.

სხვადასხვანაირად შეიძლება ამის დანახვა. ჩემი აზრით, უმჯობესია უფრო ნეიტრალურად შევხედოთ, უარი ვთქვათ შავ-თეთრ დამოკიდებულებაზე.

შეიძლება იყო ნეიტრალური, როცა შენი სამშობლო ოკუპირებულია?

მაგრამ საკუთარ საზღვრებში ჩაკეტვა და იზოლირება გამოსავალი არაა. არავინ დასაჩუქრდება ამ თვითიზოლაციის გამო, არც მოსახლეობა და არც ხელისუფლება. დააკვირდით, რა მოხდა რუსეთთან სავიზო რეჟიმის ცალმხრივი გაუქმების შემდეგ. ბევრი რუსული კაპიტალი შემოვიდა ქვეყანაში, ბევრი ტურისტი. სასტუმროში, სადაც ახლა ვარ გაჩერებული (შერატონ მეტეხი პალასი), ყველაზე ხშირად რუსულად საუბარი ისმის. ცუდია ეს? ბევრი ქართველი ახლაც ცხოვრობს რუსეთში და საქართველოში ახლობლებს არჩენს. მაშ, რატომ აქვს სააკაშვილს ამ ვითარებისთვის ოფიციალური სახის მიცემის პრობლემა? რატომ არ უნდა გაიყიდოს რუსეთში ქართული მინერალური წყალი, ღვინო, ხილი? აბსოლუტურად ლეგიტიმურად ვთვლი, რომ ივანიშვილი ამას ცდილობს. არ ვფიქრობ, რომ ეს პრორუსული მიდგომაა, საკითხისადმი გონივრულ მიდგომად მივიჩნევ.

როგორ ფიქრობთ, როგორი პოლიტიკით შეძლებს საქართველო ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას?

აფხაზეთში ამ დღეებში უკვე მეორედ ვიყავი. იქ ორი დღის განმავლობაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან საუბარში გამოჩნდა, რომ მათ საქართველოში რაიმე ფორმით დაბრუნების არანაირი ინტერესი და სურვილი არ აქვთ. მიზეზებზე სპეკულირება შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ დღეს იქ ასეთი ვითარებაა.

ამიტომ, რეცეპტების მოფიქრება რთულია, მაგრამ მე მაინც ადამიანებს შორის ნდობის აღდგენის სტრატეგიას გირჩევდით. ღია და მოქნილი უნდა იყოთ შემოქმედებითი იდეებისთვის. იქაურებიც სიამოვნებით წამოვლენ ადამიანურ ურთიერთობაზე, ოღონდ სტატუსის საკითხის გარეშე. სტატუსზე მოლაპარაკება ყველაზე ბოლო ეტაპი უნდა იყოს, ჩემი აზრით. ეს საკითხი უახლოეს მომავალში ვერ გაირკვევა. ვიცი, რომ ძალიან რთულია, მაგრამ ეს ყველაზე საიმედო გზაა კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ჩემი აზრით, საქართველომ ევროპელებს აფხაზებთან და ოსებთან, დამოუკიდებლობის აღიარების გარეშე, პირდაპირი კონტაქტის საშუალებაც უნდა მოგვცეს. ეს მათ რუსეთზე დამოკიდებულებას შეასუსტებს, რაც საქართველოს ინტერესებშიცაა. ასე, რომ გამოსავალი პატარ-პატარა ნაბიჯებით სიარულია.

საქართველო ევროპაა თუ აზია?

ჩემთვის სრულიად ცხადია, რომ საქართველო ევროპაა.

რატომ?

რუმინეთის, ბულგარეთის, ბალკანეთის ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებში რომ გაიაროთ, საქართველოსთან ბევრ საერთოს შეამჩნევთ. ეს ქვეყნები არც ინფრასტრუქტურის მხრივ არიან თქვენზე ბევრად განვითარებული.

ესეც რომ არ იყოს, აზროვნების მანერით, ცხოვრების სტილით, თქვენი ისტორიით თქვენ მრავალფეროვანი, მრავალსახიანი ევროპის ნაწილი ხართ. მე აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ბევრი მეგობარი მყავს, რომელთანაც საერთო ენაზე ვსაუბრობ. მოკლედ, საქართველო ევროპაა. ეს არც კარგია და არც ცუდი. უბრალოდ, ასეა.

ესაუბრა ირაკლი აბსანძე

რატომ არიან მდიდარი ადამიანები მდიდრები

იოჰან ფუსტი

„ ადამიანი, რომელმაც იცოდა, როგორ გამოეყენებინა ახალი შესაძლებლობები

13.95% სამომხმარებლო სესხზე

თიბისი ბანკი
TBC BANK

227 27 27 | * 27 27
www.tbconline.ge

ვილნიუსის სამიტამდე

ვილნიუსში აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის სამიტის წარმატება არა მხოლოდ ქართული ხელისუფლების ინტერესებს წარმოადგენს...

სილვია შტიობერი

ევროპის მთავარი ქალაქი ბრიუსელი, გასულ თვეში, კრიზისის დაძლევის არენად იქცა. ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფოებისა და სახელისუფლებო მმართველები კვლავ იმისათვის შეიკრიბნენ, რომ ევროპული სივრცე ფინანსური კოლაფსისგან ეხსნათ. ამასთანავე, ევროპის ქვეყნები არა მხოლოდ ფინანსური პრობლემების დაძლევის წინაშე აღმოჩნდნენ. საფინანსო ბაზრის უზარმაზარი წნეხის პირობებში დღის წესრიგში ასევე დემოკრატიული პრინციპების შენარჩუნება და მოქალაქეთა ინტერესების დაცვა დადგა. დიდი რაოდენობის ვალები ყველაზე მეტად სამხრეთ ევროპის ქვეყნებს აწევთ კისერზე. ასიათასობით ადამიანი ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას კვლავ აპტროტესტებს.

ამ კონტექსტში, ბრიუსელში ჩნდება ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა – თავისი შორეული პრობლემებით. საქართველოს ხელისუფლება ევროპის პოლიტიკური დედაქალაქის ყურადღების მიპყრობას წარსულშიც წარმატებით ახერხებდა.

სააკაშვილის მმართველობის გზავნილი გასულ წლებში ასეთი იყო: ნახეთ, როგორ სწრაფად ვუახლოვდებით ევროპას. ოქტომბრის შემდეგ კი საქართველოს ამბები დამაბნეველი გახდა. სიტუაციის მოკლედ აღსაწერად, საქართველოს წარამარა უკრაინას ადარებდენ, სადაც ძალაუფლების შეცვლის შემდეგ, დემოკრატიული განვითარების უკუსვლა ვიქტორ იანუკოვიჩთან ასოცირდება – პირველ რიგში, იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ სასამართლო პროცესის გამო.

სააკაშვილის მმართველობის გზავნილი გასულ წლებში ასეთი იყო: ნახეთ, როგორ სწრაფად ვუახლოვდებით ევროპას. ოქტომბრის შემდეგ კი საქართველოს ამბები დამაბნეველი გახდა.

პრეზიდენტ სააკაშვილის თანამებრძოლები ბრიუსელში მრავალწლიანი კონტაქტებით სარგებლობენ და შესაძლებლობა აქვთ თავიანთი შეხედულებები ფართოდ გაავრცელონ. პრემიერ ივანიშვილიც, ამის პარალელურად, უნდა მიმხვდარიყო, რამდენად მნიშვნელოვანია აქტიური საგარეო პოლიტიკა და ლობირება, სულ მცირე, ქვეყნის შიგნით შთაბეჭდილებებისთვის მაინც.

ამასობაში მან უცხოელი მრჩევლები და პიარის სპეციალისტები დაიქირავა. ბრიუსელში კარგი კონტაქტების მქონე თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანიაც ცდილობს ივანიშვილის ხელისუფლების საგარეო კომუნიკაციის პრობლემების მოგვარებას. ამრიგად, ცოტა ხნის წინ შესაძლებელი გახდა გერმან მარშალის ფონდის ბრიუსელის ფორუმზე თვალყური გვედევნებინა, ერთი მხრივ, ალასანიას და თედო ჯაფარიძის, მეორე მხრივ კი – თორნიკე გორდაძის, ეკა ტყეშელაშვილისა და ევროკავშირის იმჟამინდელი ქართველი ელჩის პრეზენტაციებისა თუ პაექრობისთვის.

იმის გამო, რომ ივანიშვილის კოალიციამ და სააკაშვილის ნაციონალურმა მოძრაობამ საერთაშორისო არენა კოჰაბიტაციის ირგვლივ, შიდაპოლიტიკურ ბრძოლას დაუთმო, რასაც რამდენიმე ევროპალრამენტარმაც შეუწყო ხელი, ამ მომენტისათვის, საქართველოს მიმართ, დიდი კითხვის ნიშნები არსებობს. შეშფოთება 23 ევროპელი ქრისტიან-დემოკრატის მიერ ივანიშვილისთვის გაგზავნილმა უხეშად ფორმულირებულმა წერილმაც გამოიწვია. ევროპის სა-

ხალხო პარტიის დეკლარაციაში, რომლის თანამონაწილეც ერთიანი ნაციონალური მოძრაობაცაა, ასევე დადგა ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე შეთანხმების ხელმოწერისა და რატიფიცირების საკითხი. სწორედ ამ საკითხს მოიაზრებენ სამიზნედ ნოემბერში ვილნიუსის აღმოსავლეთევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამიტზე.

ეს საკითხი რომ შორსმიმავალი იყო, ამას შვეიცარიის ელჩის საქართველოში, გიუნტერ ბეხლერის არაერთი რეაქციაც ადასტურებს. მან ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკოსები „საბჭოთა ტიპის რეჟიმის პროპაგანდაში“ დაადანაშაულა. ივანიშვილის მთავრობის მიმართ მძაფრმა კრიტიკამ ევროკავშირში გაღიზიანება გამოიწვია.

ერთი მხრივ, ის საყვედური, რომ თითქოს საქართველომ განვითარების ევროპულ გზაზე უარი თქვა, არ იქნა მიღებული: მაგალითად, ევროკავშირის გაფართოების კომისარი, შტეფან ფულე, მართლაც შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში არსებული ორი პოლიტიკური ბანაკის დაპირისპირების გამო. მაგრამ ამასთანავე ხედავს ევროკავშირთან ხელისუფლების ურთიერთობების წინსვლას, და თანაც რამდენიმე სფეროში გაცილებით უფრო სწრაფადაც კი, ვიდრე ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა.

სხვა მხრივ, ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე შეთანხმების ხელმოწერაზე უარი არა მხოლოდ საქართველოს მარცხი იქნება, არამედ ევროკავშირისაც. ვილნიუსის სამიტზე, ბოლოსდაბოლოს, წინ გადადგმული ნაბიჯები უნდა გვიჩვენონ. საქართველო მოლდოვასთან ერთად აღმოსავლეთის პარტნიორობის იმედისმომცემ 6 ქვეყანას შორისაა. ამის საპირისპიროდ, შესაძლოა, პრობლემები შექმნან უკრაინამ და სომხეთმა; აზერბაიჯანსა და ბელორუსიაზე კი - ლაპარაკიც ზედმეტია.

ასე რომ, ევროკავშირში სავსებით მკაფიოდ ისმის კითხვა, იმსახურებენ თუ არა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ევროკავშირის სხვა მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით ამხელა ხელშეწყობასა და მხარდაჭერას? ეს ცხადი გახდება ევროპარლამენტში მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესში; როგორც ევროპის სახალხო პარტიის პოლიტიკოსი, იოაჰინ ცელერი, ამბობს (იგი ივანიშვილისადმი წერილის ხელმომწერთა შორისაა): ევროპელი პოლიტიკოსებისგან ისმის კრიტიკა, რომ სამხრეთ ევროპული პარტნიორობა ამის გარეშეც კარგად ფუნქციონირებდა და წინასწარ დაგეგმილი თანხები მეზობელი ქვეყნების სტაბილიზაციის ნაცვლად ჩრდილოეთ აფრიკაზე უნდა დახარჯულიყო. სააკაშვილის მიმართ ევროპული სახალხო პარტიის კეთილგანწყობილი პოლიტიკოსები თავიანთი მოქმედების არეალს ზღუდავენ და საქართველოში არსებულ მდგომარეობას გაცილებით მუქ ფერებში ხატავენ.

ევროპული სახალხო პარტიის დეკლარაციაში საქართველოსთან დაკავშირებით „საიდუმლო კარიც“ არსებობს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ პარტია საქართველოსათვის მხარდაჭერას ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის უფრთხილდება; ასე რომ, აღმოსავლეთევროპული პარტნიორობის სამიტი ვილნიუსში საქართველოსთვის განსაკუთრებით წარმატებული უნდა გამოდგეს. ასევე, ევროპული სახალხო პარტიის პოლიტიკოსი და ივანიშვილისადმი წერილზე ხელმომწერი, ელმარ ბროკი, მზადაა კომპრომისებისათვის. მან პრემიერი ევროპარლამენტის საგარეო კომიტეტში მიიწვია და შეაქო, რომ ევროკავშირის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით ივანიშვილი თომას ჰამერბერგისგან იღებს რჩევებს. ბროკი ამბობს: „ჯერ კიდევ არის ვადები, რათა მოვილაპარაკოთ და საქმეების წესრიგში მოყვანა შევძლოთ.“

ჩაივლის თუ არა ვილნიუსის სამიტამდე საქართველო-ევროკავშირის მოლაპარაკებები წარმატებულად და მოხერხდება თუ არა, კოჰაბიტაციის პირობებში მოსახლეობისთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარება – ამ ფაქტორებს ევროკავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ევროკავშირმა თავის მოსახლეობასაც უნდა აუხსნას, რატომ უნდა მოხდეს ძალისხმევისა და თანხების ინვესტიცია აღმოსავლეთ ევროპის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკისათვის. ეს ნაბიჯი, უპირველესად, დასავლეთ ევროპაში მზარდი სკეპტიციზმით აღიქმება – ერთი მხრივ, ფინანსური კრიზისისა და ევრო-სივრცეში ამასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მეორე მხრივ, მოვლენების იმ საეჭვო განვითარების პირობების გამო, რომლებიც უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში დაიწყო და უკრაინასა და ბელორუსამდე გრძელდება.

ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე შეთანხმების ხელმოწერაზე უარი არა მხოლოდ საქართველოს მარცხი იქნება, არამედ ევროკავშირისაც. ვილნიუსის სამიტზე, ბოლოსდაბოლოს, წინ გადადგმული ნაბიჯები უნდა გვიჩვენონ.

Europe's Best Airline

Globally Yours | TURKISH AIRLINES

Special deals from Wingo,
flights to Istanbul Sabiha Gökçen Airport!

Round trip

now starting from

99 EURO*

A STAR ALLIANCE MEMBER

Wingo

Wherever you go, it's easier with Wingo!

/wingotweets /wingopins turkishairlines.com/wingo

turkishairlines.com | +995322940703

* Terms and conditions apply. Fare quoted is subject to availability. Please contact Turkish Airlines for more details.

სილარიბე, ომბოჩს სასჯელი

საქართველოში, იუნისეფის მონაცემებით 77 000 ბავშვი უკიდურეს სილარიბეში, 205 000 კი შეფარდებით სილარიბეში ცხოვრობს, ნახევარი მილიონი მოქალაქე კვების დეფიციტს განიცდის.

თინა ყიფშიძე



ფოტო: ლევანი ნაბრიშვილი

თბილისში ათონელის ქუჩაზე ყოფილი 68-ე სკოლის შენობაში სოციალურად დაუცველი 30-მდე ოჯახი ცხოვრობს. შენობაში 50-მდე ბავშვია, მათ შორის ჩვილებიც. ხშირად მშობლებს საკუთარი თავისა და მათ გამოსაკვებად კათარზისიდან და ეკლესიიდან საკვები ქილებით მოაქვთ. საკვებად თითქმის უვარგისი კერძებია, მაგრამ რა ქნან, სხვა საშუალება არ აქვთ.

8 თვის მარიამისა და 6 წლის ანას დედა შორენა ერთ-ერთია, რომელიც სკოლის ყოფილ შენობაში ცხოვრობს. „17 წელი კახეთში ვცხოვრობდი, 12 წელია თბილისში ვარ. საკუთარი ბინა არასდროს მქონია. თბილისში ნახევარსარდაფებსა და უფანჯრო ბინებში ვცხოვრობდით," – ამბობს შორენა. ჯანდაცვის სამინისტროს საბინაო 200-ლარიანი ვაუჩერი საცხოვრებლად ვარგისი ბინის დასაქირავებლად საკმარისი არ აღმოჩნდა და სხვა გზა არ ჰქონდა, ათონელის ქუჩაზე ავარიულ შენობაში შესახლდა.

ერთი წლის ლელუკას დედა ბეკოც შენობაში სხვებთან ერთად შესახლდა. დაქორწინების შემდეგ უბინაოდ დარჩა, – „მეუღლეს ბინა არ აქვს, მშობლების სახლი ჩემი ძმისაა." – ამბობს ის.

გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით საქართველოში ბავშვთა 9.4 პროცენტი ანუ 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მათზე დღეში მხოლოდ 2 ლარი იხარჯება. ბავშვთა 25 პროცენტი (205 000) შეფარდებით სიღარიბეშია და დღეში საარსებოდ დაახლოებით 3.60 ლარი აქვს. ზოგადად, ბავშვიანი ოჯახები უფრო განიცდიან სიღარიბეს, ვიდრე სხვები და უფრო ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დაცვით.

ასეთი სიღარიბის ფონზე გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქე, ძირითადად ქალები და ბავშვები კვების დეფიციტს განიცდიან.

კვების დეფიციტი – მალნუტრაცია

საქართველოში ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 800 ბავშვი იღუპება. აქედან 300 ბავშვის გარდაცვალებას დედის ანემია, მცირე წონიანობა, არასრულფასოვანი კვება და ფოლიუმის მჟავის ნაკლებობისთან დაკავშირებული სხვადასხვა მანკი იწვევს. ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლით ევროპის 44 ქვეყანას შორის საქართველო 42 ადგილასაა.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2012 წლის ნუტრიციულ კვლევაში აღნიშნულია, რომ მალნუტრაცია (კვების დარღვევა) საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, არამედ აბრკოლებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რადგან უზღუდავს ადამიანებს ენერგიას, კრეატიულობასა და ანალიტიკურ უნარებს, სპობს ინიციატივასა და საქმიანობის სურვილს, მოქმედებს ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე. როცა მალუნტრაცია მოსახლეობის დიდ სეგმენტში ვრცელდება, საგანგაშო შედეგებს იწვევს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მალნუტრაციამ ქვეყანას 1.3 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა და 4300 ახალშობილის სიცოცხლე იმსხვეპლა.

„კვების დეფიციტი საკვების ნაკლებობად არ უნდა გავიგოთ. აქ შედის ორგანიზმში ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაკლებობა, რაც როგორც ადამიანის ზოგად განვითარებას, ასევე ორსულობისა და მშობიარობის ნორმალურად მიმდინარეობას განაპირობებს. სამწუხაროდ, ორსულებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან, რომ ფოლიუმის მჟავა უნდა მიიღონ, ამას კონსულტაციებზეც არ უხსნიან." – ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე.

გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის ექსპერტის თამარ უგულავასა თქმით, რეპროდუქციული ასაკის ყოველი მესამე ქალი ანემიურია და ფოლიუმის ნაკლებობას განიცდის, რაც თავის მხრივ, ბავშვის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. როდესაც ეს რიცხვი ასეთი მასშტაბურია მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფომ უნდა იკისროს.

მიკროელემენტებისა და ვიტამინების მოსახლეობისთვის მიწოდება ხორბლისა და სიმინდის ფქვილის ფორტიფიცირებით შეიძლება. ფორტიფიცირება პურის მიკროელემენტებით გამდიდრებას გულისხმობს.

„დონორების დახმარებით სახელმწიფომ შემოიტანა სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ფქვილში მიკროელემენტების შერევას უზრუნველყოფს და წისქვილკომბინატებს დაურიგა. ასევე შეიძინა ფქვილისათვის სპეციალური მინარევი, პრემიქსი. რაღაც პერიოდი ეს პროგრამა მუშაობდა. როდესაც დამთავრდა ვკითხეთ საცხობების კერძო მფლობელებს - რა შემთხვევაში განაგრძობნენ თავად პრემიქსის ყიდვასა და ფქვილის გამდიდრებას. გვიპასუხეს, რომ თუ მოსახლეობაში მოთხოვნა იქნება და მყიდველი გამდიდრებულ პურს შეიძენდა, პრემიქსს თავად შემოტანდნენ. მყიდველი როდესაც მაღაზიაში შედის და ხედავს, რომ პურს გამდიდრებული აწერია,

გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით საქართველოში ბავშვთა 9.4 პროცენტი ანუ 77 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მათზე დღეში მხოლოდ 2 ლარი იხარჯება. ბავშვთა 25 პროცენტი (205 000) შეფარდებით სიღარიბეშია და დღეში საარსებოდ დაახლოებით 3.60 ლარი აქვს. ზოგადად, ბავშვიანი ოჯახები უფრო განიცდიან სიღარიბეს, ვიდრე სხვები და უფრო ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დაცვით.

არ ყიდულობს, ჰგონია რომ რაღაც ქიმიაა. ასეთ დროს სახელმწიფომ ან თავად უნდა შემოიტანოს პრემიქსი ან მოსახლეობის ინფორმირება უზრუნველყოს.“ – ამბობს თამარ უგულავა.

ბავშვისათვის მიკროელემენტების მიღებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი 6 თვიდან 2 წლამდე მოდის, ამ პერიოდში კი პურს ის ყველაზე ნაკლებად იღებს. თამარ უგულავას თქმით, ამ პერიოდში ბავშვისთვის მომზადებულ საჭმელზე სპეციალური მინარევების მოყრა ბავშვის ორგანიზმს მიკროელემენტებით უზრუნველყოფს. ბავშვისათვის განკუთვნილი ფხვნილი 16 მიკროელემენტს შეიცავს და ძალიან იაფი ჯდება, თუმცა – საქართველოში არ იყიდება.

უგულავას თქმით, აქაც ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემაა. ეს ფხვნილი ბავშვის ჯანმრთელობისთვის უვნებელია, თუმცა მოსახლეობა, ინფორმაციის არარსებობის გამო, ამგვარ საკვების დანამატებს ეჭვის თვალით უყურებს. ფარმაცევტები ამ ფხვნილს იმ შემთხვევაში შემოიტანენ, თუ ბაზარზე მოთხოვნა გაჩნდება. უგულავას თქმით, აქაც სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და საზოგადოებას 16 საჭირო მიკროელემენტის შემცველი სპეციალური ფხვნილის არსებობისა და საჭიროების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს.

„დავიანგარიშეთ და აღმოჩნდა, რომ ერთი წლის განმავლობაში 6-დან 2 წლამდე ბავშვი რომ ამ სპეციალური მინარევით იყოს უზრუნველყოფილი, 5 ლარია საჭირო. სახელმწიფომ მათთვის, ვინც სოციალურად დაუცველია და ბავშვი შიმშილით უკვდება, სამედიცინო დაზღვევაში მედიკამენტების ნუსხაში, ეს მინარევი უნდა შეიტანოს.“ – ამბობს თამარ უგულავა.

სოციალური დაცვის სისტემის არაეფექტიანობა

სიღარიბე კვების დეფიციტის ძირითადი განმსაზღვრელია. სოციალური დაცვის სისტემა სათანადოდ ვერ მოიცავს ბავშვებს და მისი არაეფექტიანობის დასტური ახლახან აჭარის მაღალმთიანეთში კვების მწვავე დეფიციტისგან გარდაცვლილი ერთი წლის ბავშვია. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებამ ბავშვის შიმშილით გარდაცვალების შესახებ შეიტყო, მაგრამ კვების დეფიციტით გარდაცვალების შემთხვევები არც თუ იშვიათია. ამავე მიზეზით გარდაიცვალა საგარეჯოში 6 თვის ბავშვიც.

კვების დეფიციტთან ერთად ქვეყანაში ფრაგმენტულია დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის მომსახურება.

„პირველადი ჯანდაცვის ჯაჭვი არსად არ უნდა გაწყდეს. ზრუნვა ჩასახვისა და ორსულობის პერიოდიდან უნდა დაიწყოს, პაციენტზე ინფორმაცია სამშობიაროში უნდა გადადიოდეს, შემდეგ პირველადი ჯანდაცვის რგოლში, სისტემა და სახელმწიფო მუდმივად უნდა ხედავდეს ბავშვს და მხედველობის არეალიდან არ უნდა ეკარგებოდეს, როგორც მოხდა გოგიტა აბაშიძის შემთხვევაში. ეს ბავშვი საერთოდ სისტემის მიღმა აღმოჩნდა. სხვადასხვა სტუქტურებს ერთმანეთთან კო-

„კვების დეფიციტი საკვების ნაკლებობად არ უნდა გავიგოთ. აქ შედის ორგანიზმში ვიტამინებისა და მიკროელემენტების ნაკლებობა, რაც როგორც ადამიანის ზოგად განვითარებას, ასევე ორსულობისა და მშობიარობის ნორმალურად მიმდინარეობას განაპირობებს. სამწუხაროდ, ორსულებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან, რომ ფოლიუმის მჟავა უნდა მიიღონ, ამას კონსულტაციებზეც არ უხსნიან.“

ფოტო: ლევან ხერხულიძე

მუნიკაცია არ აქვთ.“ – ამბობს მაია ქურციკიძე.

რაც შეეხება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ბავშვებს, აქ სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს. სოციალური დახმარების სისტემაში ბავშვი მხოლოდ და მხოლოდ დამატებით სულადობად განიხილება და არა განსაკუთრებული საჭიროების მქონედ. სახელწიფოში არ არსებობს ბავშვთა მიზნობრივი დახმარება.

სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ქალთა და ბავშვთა უფლებების ცენტრის ხელმძღვანელის ანა არგანაშვილის თქმით, ბავშვთა მზრუნველობისა და კეთილდღეობისათვის შემქნილი სისტემა, რომელსაც ბავშვების წინაშე არსებული პრობლემები უნდა გადაეჭრა, თავად აღმოჩნდა პრობლემების წინაშე.

„სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები არ თვლიან, რომ ჯერ სტატისტიკა უნდა ჰქონდეთ და მერე დაგეგმონ პროგრამა. ქვეყანაში არაფრის სტატისტიკა არ არსებობს. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე სახელმწიფო

სისტემა არის თუ არა რეალობასთან შესაბამისობაში. კვლევებიც არ ტარდება და შესაბამისად ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ამ სფეროში მიიღეს, პრობლემურია. როგორც წესი, გამოყოფილია რაღაც თანხა და წყვეტენ რა სამუშაოების ფარგლებში ჩაჯდებიან. ამას ემატება ის, რომ არაფრის მონიტორინგი არ ხდება. სისტემა ისე მოვიდა აქამდე, რომ არც წინა კვლევით სამუშაოებს ატარებდა და არც ჩატარებულ სამუშაოებს აფასებდა." – ამბობს არგანაშვილი.

2008-2011 წლის ბავშვთა კეთილდღეობის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2009 წლის ბოლოს ბავშვთა ალტერნატიული მზრუნველობის დაწესებულებაში შედინება ნულამდე უნდა დასულიყო. ანა არგანაშვილის თქმით, ეს ნიშნავდა, რომ ბავშვთა სიღარიბე უნდა აღმოფხვრილიყო, რამდენადაც ამ დაწესებულებებში ბავშვები სწორედ სიღარიბის გამო ხვდებიან. გეგმა არ შესრულებულა. „გეგმები იწერება და არანაირი აზრი აქვს, არ ფასდება. შემდეგ იწერება ახალი გეგმა და ა.შ." – ამბობს ანა არგანაშვილი.

„პრობლემას რომ მივყვეთ: რატომ არ გვაქვს კარგი სამოქმედო გეგმა? იმიტომ რომ ის მტკიცებულებებს არ ეფუძნება და სამი ადამიანი წერს. რატომ ვერ ხორციელდება შემდეგ ეს გეგმა? აღმოჩნდება, რომ მას, ვინაც გეგმა უნდა განახორციელოს, ბავშვამდე მისასვლელი საწვავი არ აქვს." – ამბობს არგანაშვილი.

ქვეყანაში რესურსებისა და კომპეტენციის ნაკლებობის პრობლემაა. მწირია სიღარიბესთან ბრძოლისთვის გამოყოფილი რესურსები. ერთ მთლიან რეგიონზე ერთი ფსიქოლოგი მოდის, რამდენიმე ათას ბავშვზე კი - ერთი სოციალური მუშაკი. სისტემის ასეთად დატოვება თავისთავად გულისხმობს ტრაგიკულ შედეგებს.

„ბავშვთა უფლებები არ აისახება სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში. ბავშვთა უფლებები ნიშნავს რომ არის უფლება და მისგან გამომდინარე საჭიროები, რომელსაც სისტემა უნდა ერგებოდეს. რეალობაში პირიქითაა, გამოყოფილია რაღაც თანხა და ამ თანხის შესაბამისად ნაწილდება საჭიროებებზე. მაგალითად, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის ერთადერთი 40 ადგილიანი ცენტრი არსებობს, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 2008 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით 1500-მდე ქუჩის ბავშვია ქვეყანაში," – ამბობს ანა არგანაშვილი

მანკიერია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების სისტემაც.

„ღონისძიება უნდა დაიწყოს მანამდე, ვიდრე ოჯახი სიღარიბეში ჩავარდება. თუ ოჯახში არის ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ერთი დაუსაქმებელი, ერთი ბავშვი და ერთი ხანდაზმული, ძალიან მალე მაღალი ალბათობით სიღარიბეში აღმოჩნდება. რისკები ადრე უნდა აღმოაჩინო. სოციალური დახმარებას მაშინ გაძლევენ, როდესაც უკვე სიღატაკეში ხარ, მას არ აქვს პრევენციული ხასიათი. ჯერ უნდა გაღატაკდე და შემდეგ დაგეხმარებიან. როგორც კი ოდნავ წინ წაიწევ, დახმარებას მოგიხსნიან. რეალურად სახელმწიფოს ისეთი დახმარების სისტემა აქვს, რომ ღარიბად უნდა დარჩე." - ამბობს ანა არგანაშვილი.

მთავრობამ ახლახან სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის 2013 წლის გეგმა დაამტკიცა. გეგმაში სოციალურად დაუცველი ჩვილებისათვის 80 ლარიანი კვების ვაუჩერია გამოყოფილი. ვაუჩერის გამოყენება ოჯახს აფთიაქებში შეეძლებათ. ეს ვაუჩერი წინა წლებშიც გაიცემოდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ვაუჩერი კვების დეფიციტს ვერ აგვარებს. წინა წლისგან მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ თუკი შარშან კვების ვაუჩერს ძირითადად 1 წლამდე ბავშვები იღებდნენ, ახლა 1 წლისა და 6 თვემდე ბავშვებიც მიიღებენ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, დავით ლომიძე, იუნისეფის კვლევის შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს.

„იმას, რომ ქვეყანაში ასეთი კვების დეფიციტია და ბავშვები შიმშილობენ, ბოლომდე ვერ დავეთანხმები. ასეც არ არის. რამდენიმე ექსპერტი რომ გავა საკვლევ ველზე და შერჩევითად შეაფასებს სურათს, ეს არაფრის მომცემი არაა." – ამბობს ლომიძე.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 77 000 ბავშვი დღეში 2 ლარს მოიხმარს, დავით ლომიძე პასუხობს, რომ ჩვილ ბავშვებს, რომლებიც ძუძუთი იკვებებიან, დამატებითი ხარჯი საერთოდ არ სჭირდებათ.

სიღარიბეში დაბადებული ბავშვი დიდი ალბათობით მომავალშიც სიღარიბეში იცხოვრებს, სიღარიბემ ადრეულ ასაკში შესაძლოა ფიზიკური და შემეცნებითი განვითარების ხარვეზები გამოიწვიოს, რაც ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვება და ბავშვს სამუდამოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში ამყოფებს. ამიტომაც ამბობენ, რომ სიღარიბე მემკვიდრეობით გადადის. გაეროს ბავშვთა კონვენცია ამბობს, რომ სიღარიბე არ უნდა გახდეს სასჯელი. სახელწიფოს მოვალეობა სწორედ ამის უზრუნველყოფაა.

„პრობლემას რომ მივყვეთ: რატომ არ გვაქვს კარგი სამოქმედო გეგმა? იმიტომ რომ ის მტკიცებულებებს არ ეფუძნება და სამი ადამიანი წერს. რატომ ვერ ხორციელდება შემდეგ ეს გეგმა? აღმოჩნდება, რომ მას, ვინაც გეგმა უნდა განახორციელოს, ბავშვამდე მისასვლელი საწვავი არ აქვს." – ამბობს არგანაშვილი.

ШОУ ДМС
ПЯТНИЦА 22:00 ПРЯМОЙ ЭФИР ВСЕМИРНЫЙ ЦИРК
tv9

დეპუტატი თოფაძე მენახმე აბრამაშვილის წინააღმდეგ

„ვალიკოს ჩემგან გადაეცით, ჭკუით იყოს, თორემ უფრო ხათაბალაში გაეხვევა. ჭკუით იყოს, გადაეცით, მაგას იქ არაფერი ეკუთვნის და ტყუილად ნუ წვალობს, თორემ უფრო გაურთულდება საქმე“. ეს დანაბარები „ქართული ოცნების“ წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა გოგი თოფაძემ თავის ყოფილ ბიზნესპარტნიორს ვალიკო აბრამაშვილს სტუდია „მონიტორის“ საშუალებით გადასცა. აბრამაშვილი გოგი თოფაძეს დაახლოებით 300 ათასი დოლარის ოდენობის წილის წართმევაში ადანაშაულებს.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

ბაკურიანში მდებარე ყველაზე დიდი სათხილამურო ტრასა სააქციო საზოგადოება „დიდველს“ ეკუთვნის. „დიდველი“ უკვე რამდენიმე წელია ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაა. სათხილამურო ინფრასტრუქტურას საკუთარი მომსახურების ცენტრი უნდა ჰქონოდა. საქართველოს ვაჟ მოთხილამურეთა ნაკრების წევრის, იასონ აბრამაშვილის ოჯახი 2006 წლიდან მშენებარე ობიექტის გარკვეულ ნაწილს ფლობდა. თუმცა, როგორც თავად ამბობს, 2011 წელს შეიტყო, რომ პარტნიორის მეშვეობით მისმა ოჯახმა შენობაზე ყოველგვარი უფლება დაკარგა. იასონის მამა ვალიკო აბრამაშვილი გარკვეული პარიოდის განმავლობაში ბაკურიანის გამგებელიც იყო. ვალიკო აბრამაშვილი ამბობს, რომ დაახლოებით 20 წლის წინ მისი ოჯახი ბიზნესმენ გოგი თოფაძის ოჯახს დაუახლოვდა, მოგვიანებით კი დიდველის მომსახურების ცენტრის ერთად აშენებაც გადაწყვიტეს. მომსახურების ცენტრ „დიდველის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის შპს „თრიალეთი“ შეიქმნა და შპს-ს წილები ორივე ოჯახზე თანაბრად, ანუ 50%-50%-ად გადანაწილდა.

„ისე წარიმართა სიტუაცია, რომ დოკუმენტები მიწაზე და საპროექტო უნდა მოეგვარებინა გოგი თოფაძეს, როგორც ივანიშვილთან, ასე საპროექტო საქმიანობაც უნდა მოეწესრიგებინა, მშენებლობისთვის უნდა მიმეხედა მე და დამეფინანსებინა ნაწილობრივ, შეძლებისდაგვარად“, – ამბობს ვალიკო აბრამაშვილი

აბრამაშვილებს დიდველზე თხილამურების გაქირავების ბიზნესი და ბაკურიანში 2 საოჯახო სასტუმრო აქვთ. გოგი თოფაძემ დიდველის მშენებლობისთვის სამშენებლო კომპანია „დიტოს“ ხელმძღვანელი ვანო გიორგაძე გააცნო აბრამაშვილებს და მშენებლობაც დაიწყო. როგორც თავად ამბობენ, 2006 წელს „დიდველის“ მომსახურების ცენტრის მშენებლობაში სოლიდური თანხები ჩადეს, მათი

თქმით, თანხებს მშენებლობაში ორივე ოჯახი დებდა. 2007 წლის სექტემბერში ვალიკო აბრამაშვილი დააპატიმრეს და სამოხელეო დანაშაულში დასდეს ბრალი.

ვალიკო აბრამაშვილი: „მე დამიჭირეს 7 სექტემბერს, 10 სექტემბერს ჩემი მეუღლე და შვილი მივიდნენ გოგი თოფაძესთან და სთხოვეს, იქნებ, რაც ჩადებული აქვს, თქვენ შეისყიდოთ ჩვენი წილი და ჩვენ გავალთო. 146 ათასი დოლარი უკვე ჩადებული მქონდა. თოფაძის პასუხი იყო შემდეგი, მე სად მაქვს ფული, ნეტა, ჩემი წილიც თქვენ იყიდოთ. მაშინ ჩემმა მეუღლემ შესთავაზა, იქნებ, დროებით სანამ ჩემი მეუღლე გამოვა, თქვენ გადაიფორმოთ ფიქტიურად ჩვენი წილიო, დათანხმდა იმ წუთში“.

იასონ აბრამაშვილის თქმით, თოფაძებს ენდობოდნენ. „ჩვენი წილიდან ნოტარიულად 49.5% გადავუფორმე ირაკლი თოფაძეს, თუმცა ეს იყო ფიქტიური გადაფორმება. სიტყვიერი შეთანხმება იყო ის, რომ გადმოგიფორმებთ, მაგრამ რამდენიმე თვეში, როცა ყველაფერი დალაგდება და მამაჩემი გამოვა, გადმოვიფორმებთ უკან ჩვენს წილს და გავაგრძელებთ მშენებლობას“, – ამბობს იასონ აბრამაშვილი. ფიქტიურად გადაფორმებული წილის შემდეგ აბრამაშვილებს საკუთრებაში „თრიალეთის“ 0.5% დარჩათ.

ვალიკო აბრამიშვილი საპატიმროდან 3 თვეში გამოვიდა. ამბობს, რომ „დიდველის“ მომსახურების ცენტრის მშენებლობა გაგრძელდა, მშენებლობაში თანხების ჩადებას ორივე ოჯახი განაგრძობდა, თუმცა შპს „თრიალეთის“ ფიქტიურად გადაფორმებული წილის უკან დაბრუნებას გოგი თოფაძე თავს არიდებდა.

„ჩამოვაგდე ამაზე საუბარი, ბატონო გოგი, იქნებ დამიბრუნოთ ჩემი წილი. უფრო თამამად ვიქნები. მითხრა, – ოღონდ აშენე შენ, ოღონდ, აკეთე და სად წამიხვალ, ან მე სადა ვარ გამქცევი. კაცი რომ გელაპარაკება,

თვალებში გიყურებს, მჯეროდა ამ კაცის“. აბრამიშვილებმა 2011 წელს გადაწყვიტეს თოფაძისთვის ფიქტიურად გადაფორმებული 49.5% -ს დაბრუნება საბოლოოდ მოეთხოვათ.

„2011 წელს შემოდგომაზე მივედით ჩვენი წილის გადმოსაფორმებლად. გოგი თოფაძეს მოვთხოვეთ წილის გადმოფორმება უკან და დაგვილაგა საბუთები, შენობა თქვენ აღარ გეკუთვნით, ბანკმა წაიღო, თქვენიც წაიღო და ჩემიც წაიღოო. შოკისმომგვრელი იყო. რას ჰქვია წაიღო? გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. წავედით საჯარო რეესტრში და ამოვიღეთ მთელი დოკუმენტაცია“, - ამბობს იასონ აბრამაშვილი

საჯარო რეესტრიდან ამოღებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ აბრამაშვილებმა გაარკვიეს, რომ შპს „თრიალეთში“ აღარაფერი ეკუთვნოდათ. ფიქტიურად გადაფორმებული 49.5-ს% შემდეგ დარჩენილი ნახევარი პროცენტიც 2008 წლის დეკემბრიდან თოფაძეების საკუთრება ყოფილა. რეესტრის დოკუმენტებიდანვე გაარკვიეს, რომ 2011 წელს შპს თრიალეთის ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, ქონება თოფაძეებს სესხის სანაცვლოდ „ქართუ“ ბანკში დაუგირავებიათ.

„მთელი დოკუმენტაცია ამოვიღე. ჯერ ნახევარი პროცენტი გვქონდა, თუმცა შემდგომ ის ნახევარი პროცენტიც მათი აღმოჩნდა. შემდეგ 2008 წელს შპს „თრიალეთს“ მიუღია ახალი წესდება. ვნახე, რომ აგერ ბანკში აქვს ჩადებული და სესხი აქვს აღებული 1 მლნ 325 ათასი დოლარი. ეს ჩეთვის შოკისმომგვრელი იყო. მეორე დღეს მე და ჩემი შვილი მივედით გოგისთან. ვკითხეთ, ბატონო გოგი, აქ რაღაც ვერ ხდება კარგი საქმე, რა ხდება ჩვენს მონდობილ წილთან დაკავშირებით? ასე გვითხრა, რა ვქნა, ბანკში ვალი მქონდა და უზრუნველყოფაში ჩავდეო. მე ვუთხარი, შენი 50% ჩაგედო, ჩემი რატომ ჩადე მეთქი? რა ვქნა, ასე მოხდა და ერთ შაურსაც ჩემგან ვერ მიიღებ, წადი და სადაც გინდა იჩივლე“, – ასე იხსენებს თოფაძესთან საუბარს ვალიკო აბრამაშვილი.

აბრამაშვილები ამბობენ, რომ დიდველის მშენებლობაში დაახლოებით 300 ათასი დოლარი აქვთ ჩადებული და თოფაძეების გამო ეს თანხა დაკარგეს. ჩვენ გოგი თოფაძის პოზიციით დავინტერესდით და მას ინტერვიუსთვის პარლამენტში მივაკითხეთ. იგი დღეს საქართველოს პარლამენტის წევრია. არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მე-6 ნომერი იყო და პარლამენტშიც ამ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს. თოფაძე თავიდან საუბარზე დაგვთანხმდა, თუმცა შპს „თრიალეთთან“ დაკავშირებით ვრცელ კომენტარზე უარი გვითხრა.

ჩადეს თუ არა აბრამაშვილებმა თანხა „დიდველის“ მშენებლობაში და როგორ გადაფორმდა შპს-ს წილები თოფაძეებზე? ამ კითხვებზე პასუხი ჩვენ გოგი თოფაძის შვილს, ირაკლი თოფაძესაც ვთხოვეთ, მაგრამ პასუხს მანაც თავი აარიდა.

თოფაძეებისგან კომენტარზე უარის მიღების შემდეგ მათი ადვოკატი დაგვიკავშირდა. შპს „თრიალეთის“ ირგვლივ დაწყებულ დავაზე არსებულ კითხვებს ადვოკატმა გოჩა გოგიშვილმა უპასუხა.

„მონიტორი“-ის შეკითხვაზე, დაადასტურებდა თუ არა ფაქტს, რომ აბრამაშვილებმა დაახლოებით 280 ათასი დოლარი ჩადეს ამ ობიექტის მშენებლობაში, ადვოკატმა გვიპასუხა,

„2011 წელს შემოდგომაზე მივედეთ ჩვენი წილის გადმოსაფორმებლად. გოგი თოფაძეს მოვთხოვეთ წილის გადმოფორმება უკან და დაგვილაგა საბუთები, შენობა თქვენ აღარ გეკუთვნით, ბანკმა წაიღო, თქვენიც წაიღო და ჩემიც წაიღოო. შოკისმომგვრელი იყო.“

რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა კომპანიის განვითარებაში და არც თანხა ჩაუდიათ. „კომპანიის პარტნიორს არ შემოუტანია, არ განუხორციელებია, რაიმე სახის ინვესტირება კომპანიაში“, – აღნიშნა გოგიშვილმა.

ინვესტიციის დამადასტურებელი დოკუმენტები

ნამდვილად ჩადეს, თუ არა თანხა აბრამაშვილებმა მშენებლობაში და როგორ აღმოჩნდა შპს „თრიალეთის“

100% თოფაძეების საკუთრება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ საქმის მასალები დეტალურად შევისწავლეთ.

აბრამაშვილების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, მათ „დიდველის“ მშენებლობაში 2006-2009 წლებში დაახლოებით 280 ათასი დოლარი ჩადეს. ეს დასტურდება მშენებლისთვის თანხის გადაცემის შესახებ გაკეთებული ჩანაწერებით, სადაც მითითებულია წლების მიხედვით ვალიკო აბრამაშვილისგან მიღებული თანხების რაოდენობა და 4 წელიწადში შეტანილი თანხის ჯამი, რასაც საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს მშენებელი კომპანია „დიტოს“ მფლობელი და ხელმძღვანელი ვანო გიორგაძე.

ვანო გიორგაძე გოგი თოფაძესთან დაახლოებული მშენებელია, მანვე აშენა თოფაძეების საცხოვრებელი სახლი. როგორც თავად ამბობს, ოფისიც ყაზბეგის შენობაში აქვს. ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა, თუმცა ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ აბრამაშვილისგან თანხას იღებდა და „დიდველის“ მშენებლობას ახმარდა.

ვანო გიორგაძე, მშენებელი (ფარული ვიდეოჩანაწერი): მე მივიღე თანხა და დავადასტურებ, სადაც არ უნდა იყოს დავადასტურებ.

– ეს ინტერვიუში რომ მითხრათ შეიძლება?

– მე არავითარ ინტერვიუს არ ვიძლევი.

– თქვენთვის მოცემული რამდენი აქვს ვალიკოს?

– ვალიკოს ჩემი ხელმოწერით რომ დევს, იქ წერია რამდენია დახარჯული, მე ზეპირად არ ვიცი.

– წლების მიხედვით ხო?

– თვეების და რიცხვების მიხედვით.

– რომელი წლიდან იხდიდა, ბატონო ვანო?

– 2006 -2007-დან.

– თქვენ რისთვის გიხდიდათ ის ამ თანხებს?

– რისთვის მიხდიდა? არ ჩანს იმ შენობაში, რისთვისაც მიხდიდა?

– სრულად ახმარდით იმ ობიექტს?

– აბა, რას ვშვრებოდი, კაცო!

მშენებელი თანხის მიღებას ფარულ აუდიო ჩანაწერშიც ადასტურებს, ჩანაწერში მას ვალიკო აბრამაშვილი ესაუბრება.

ფარულ აუდიო ჩანაწერში ირაკლი თოფაძეც ეუბნება ბარამიშვილს: „არავინ დავობს, შენი ფულიც დევს და გოგის ფულიც დევს“.

როგორ მოხდა შპს „თრიალეთის“ 49.5%-ის თოფაძეებზე გადაფორმება

მეორე სადავო საკითხი 2007 წელს 49.5%-ს იასონ აბრამაშვილისგან ირაკლი თოფაძეზე გადაფორმებაა, აბრამაშვილები ამბობენ, რომ ეს ფიქტიური გადაფორმება იყო, რასაც გოგი თოფაძის ადვოკატი გამორიცხავს.

გოჩა გოგიშვილი ამბობს, რომ ეს იყო ჩვეულებრივი გადაფორმება.

„- თქვენი კლიენტი რას ამბობს ამაზე? იყო ფიქტიური გარიგება?

– არა. ეს იყო აბსოლუტურად ჩვეულებრივი გარიგება.“

საწინააღმდეგოს ამტკიცებს აბრამაშვილების ადვოკატი თემურ ხონელია: „ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ იასონ აბრამაშვილი ისევ განაგრძობდა ობიექტში თანხების ჩადებას, როგორც მანამდე და, კიდევ ერთი გარემოება, რაც მიუთითებს ამ გარიგების ფიქტიურობაზე, არის ის, რომ აბრამაშვილი არ გაყიდდა იმ ქონებას 5 ათას დოლარად, რომლის შექმნაშიც იმ დროისთვის 140 ათას დოლარზე მეტი ჰქონდა ჩადებული“.

წილის ფიქტიურ გადაფორმებაზე საუბარი ირაკლი თოფაძეს და აბრამაშვილებს შორის 2011 წლის ნოემბრის ბოლოს შედგა, მას შემდეგ რაც შპს „თრიალეთ“-ში აბრამაშვილების მთელი წილი უკვე თოფაძეებზე იყო გადასული და ამაზე დავა მიმდინარეობდა. ჩვენ ამ საუბრის აუდიო ჩანაწერიც გვაქვს.

ირაკლი თოფაძე და აბრამიშვილები (ფარული აუდიო ჩანაწერი)

აბრამიშვილი – კი არ იყიდეთ, უბრალოდ გადაიფორმეთ.

ირაკლი თოფაძე: – კი მახსოვს.

– არც თანხა არ გადაგიხდიათ არც არაფერი.

– არაფერი.

– გადავიფორმე თქვენი თხოვნით.

– რაღაც პრობლემები გქონდათ და შენი წილი გადმომიფორმე მე. მე მივედი ნოტარიუსში და შენი დარჩა 0,1 თუ 0.5%-ი ეს იყო ფიქტიური მხარე, რადგან საჭირო იყო ასე.

ამის შემდეგ იასონ აბრამაშვილს კომპანიაში 0.5%- კიდევ დარჩა, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს ნახევარი პროცენტიც ირაკლი თოფაძეს გაუფორმდა.

0.5%-ის გადაფორმების საკითხი

მესამე სადავო საკითხი სწორედ ამ დარჩენილი ნახევარი პროცენტის იასონ აბრამაშვილისგან ირაკლი თოფაძეზე გადაფორმებაა. სანოტარო აქტის მიხედვით აბრამაშვილმა ირაკლი თოფაძეს ეს წილი 2008 წლის 4 დეკემბერს 10 ლარად მიჰყიდა.

იასონ აბრამაშვილი ამბობს, რომ მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია და ამ ფაქტის არსებობა წილის გადაფორმებიდან 3 წლის შემდეგ გაიგო. საწინააღმდეგოს ამტკიცებს თოფაძის ადვოკატი. იგი ამბობს, რომ ნახევარპროცენტიანი წილის გასხვისებაზე აბრამაშვილმა თანხმობა ჯერ კიდევ 2008 წლის ზაფხულში გამოთქვა.

გოჩა გოგიშვილი: „ეს ხელმოწერა არის იასონ აბრამაშვილის. მე ვესაუბრე კომპანიის თანამშრომლებს და ისინი ამას ადასტურებენ. ამ ხელშეკრულებას წინ უსწრებდა პარტნიორთა კრების ოქმი რამდენიმე თვით ადრე, ზაფხულის თვეში, როდესაც გადაწყდა, რომ იასონ აბრამაშვილი თავის 0.5%-ს დათმობდა და გავიდოდა პარტნიორობიდან

– რომელ კრებას გულისხმობთ?

– 2008 წლის 4 აგვისტოს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ოქმი, რომელზეც თოფაძის ადვოკატი საუბრობს, ის ნოტარიუსთა პალატიდანაა ამოღებული და ოფიციალურადაა დამოწმებული. დოკუმენტი 2008 წლის 4 აგვისტოთი თარიღდება, ეს ოქმი დაედო საფუძვლად 4 დეკემბერს აბრამაშვილის კუთვნილი ნახევარი პროცენტის წილის ირაკლი თოფაძისთვის გადაფორმებას. თუმცა ოქმში არსად წერია, რომ იასონ აბრამაშვილი „თრიალეთში“ კუთვნილი წილის თოფძისთვის დათმობას აპირებს. აბრამაშვილის ადვოკატი ამ ოქმის ნამდვილობასაც ეჭვქვეშ აყენებს.

თემურ ხონელია: მე ხელთ მაქვს 2008 წლის 4 აგვისტოს №4 კრების ოქმი, რომელიც დამოწმებული არის ნოტარიუს ეკა მსხილაძის მიერ, რომლის დღის წესრიგს წარმოადგენს საზოგადოებაში ახალი წევრის მიღება, მიიღეს გიორგი თოფაძე. ამ კრების ოქმით არ დგინდება იასონ აბრამაშვილის პარტნიორობიდან გასვლა. თუ კარგად დავაკვირდებით სხდომის ოქმს, შეუიარაღებელი თვალითაც დავინახავთ, რომ ორივე ხელმოწერა შეიცავს უზუსტობას, ნაცვლად აბრამაშვილისა, წერია აბრამიშვილი, იასონ აბრამაშვილი ამბობს, რომ მას არ შეიძლებოდა ორჯერ შეშლოდა საკუთარი გვარი მისი გარკვევით წერისას.

თუ ჩვენ გამოვიყენებთ სხვა ნიმუშებს, დავინახავთ განსხვავებას და დავრწმუნდებით, რომ ეს ხელმოწერა არ არის შესრულებული იასონ აბრამაშვილის მიერ.

იასონ აბრამაშვილის 0.5%-იანი წილის დათმობის შესახებ ნოტარიუსს ორი დოკუმენტი აქვს დადასტურებული: 2008 წლის 4 აგვისტოს და 4 დეკემბრის სანოტარო აქტით. ორივე დოკუმენტი ნახევარპროცენტიანი წილის ირაკლი თოფაძისთვის მიყიდვას ეხება. დოკუმენტების დამოწმებისას ნოტარიუსი ეკა მსხილაძე წერს, რომ მასთან მივიდა იასონ აბრამაშვილი და ირაკლი თოფაძე, დაადგინა მათი ვინაობა, შეამოწმა მათი ქმედუნარიანობა და ამის შემდეგ მათივე ხელმოწერით შეადგინა წილის გადაცემის ხელშეკრულება. იასონ აბრამაშვილი ნოტარიუსთან მისვლას და რომელიმე დოკუმენტზე ხელმოწერას უარყოფს.

იასონ აბრამაშვილი: „4 აგვისტოს და 4 დეკემბერს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან არც ერთი თარიღი არ ემთხვევა ჩემს საქართველოში ყოფნას. სპორტულ შეკრებაზე ვიმყოფებოდი ორივე პერიოდში, შვეიცარიაში ავსტრიაში მყინვარზე გვქონდა ვარჯიშები. არანაირი შანსი არ არსებობს მაგ დროს ვყოფილიყავი ნოტარიუსთან“.

იასონ აბრამაშვილის მონათხრობს ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გაცემული ცნობა, სადაც აბრამაშვილის საქართველოდან გასვლა და შემოსვლაა დაფიქსირებული.

გაგი მოსიაშვილი, იასონ აბრამაშვილის ადვოკატი: „ჩვენ გვაქვს იასონ აბრამაშვილის პასპორტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წერილი, ორივე დოკუმენტი ადასტურებს, რომ აბრამაშვილი 4 აგვისტოს და 4 დეკემბერს საქართველოში ვერ იქნებოდა, აქ აღნიშნულია, რომ იასონი ქვეყნიდან გავიდა 2008 წლის 21 ივლისს და დაბრუნდა 18 აგვისტოს, მეორე შემთხვევაში გავიდა 2008 წლის 26 ნოემბერს და დაბრუნდა 2009 წლის 18 თებერვალს, ანუ აქტების გაფორმების დროს აქ ვერ იქნებოდა.

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზეცაა აღნიშნული, რომ 2008 წლის 4 და 5 დეკემბერს აბრამაშვილი იტალიაში გამართულ ერთ-ერთ შეჯიბრში მონაწილეობდა. ამასვე მოწმობს საქართველოს სათხილამურო ფედერაციის გენერალური მდივნის ოფიციალური წერილიც.

სტუდია „მონიტორი“ აქტების შემდგენელ ნოტარიუს ეკა მსხილაძესაც დაუკავშირდა. მსხილაძე ნოტარიუსად აღარ მუშაობს, მას 2010 წელს უფლებამოსილება შეუწყვიტეს და სისხლის სამართლის 341-ე მუხლით გაასამართლეს, რაც სამსახურებრივ სიყალბეს, ყალბი დოკუმენტის შედგენას გულისხმობს. მსხილაძემ ინტერვიუზე უარი გვითხრა, მასთან მხოლოდ სატელეფონო საუბრის ჩაწერა მოვახერხეთ.

ნოტარიუსი ეკა მსხილაძე (სატელეფონო საუბარი)

„მონიტორი“: როგორ მოხდა, 4 დეკემბრის და 4 აგვისტოს სხდომის აქტებზე იასონ აბრამაშვილის ხელის მოწერა?

ეკა მსხილაძე: აი, მე გეუბნებით, როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს. იურისტებმა გაამზადეს ეს, იურისტები ამზადებენ მაგ დოკუმენტებს ანუ მათი შუამავალი ამ კომპანიების ვინც არის, მათი გამზადებულია ეს დოკუმენტაცია. ამზადებენ იმ რიცხვით, როცა დარწმუნებულები იყვნენ, რომ აქ იყო. როცა მოიტანეს ჩემთან, აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება აქ არ არის, მაგრამ მე ჩამაწერინეს რეესტრში რიცხვი და ახლა მოვიყვანთო. რომ აღარ მოიყვანეს ხელმოსაწერად,

ის ხომ უკვე ჩაწერილია რეესტრში და ველოდები მოლოდინში ვარ, როცა მოვიდა მაშინ მოაწერა, ეს არის.

– ეს თქვენი ვარაუდია, ასე ხდებოდა თუ 100%-თ დარწმუნებული ხართ აბრამაშილის შემთხვევაში?

– ასე იქნებოდა აბრამიშვილის შემთხვევაში. მაშინ სხვანაირად დაიბეჭდებოდა იმ რიცხვში, როცა ის აქ იქნებოდა.

იასონ აბრამაშვილი ამ აქტებზე სხვა დროს ხელმოწერასაც გამორიცხავს, ამბობს, რომ ნოტარიუსში მისვლა აუცილებლად ემახსოვრებოდა. „გამორიცხულია, რომ ხელმოწერა ყოფილიყო ჩემი მხრიდან, მით უმეტეს, ნოტარიუსს აქვს ნათქვამი, თურმე მივედი ნოტარიუსში, საღ გონებაზე ვიყავი, შემამოწმა ნოტარიუსმა და ამის შემდეგ განვახორციელე ხელისმოწერა“, – ამბობს იასონ აბრამაშვილი

2011 წლის ბოლოს გამართულ შეხვედრაზე აბრამაშვილებმა ირაკლი თოფაძეს ნახევარი პროცენტის გადაფორმებაზეც ჰკითხეს. ნახევარი პროცენტის გადაფორმების ფაქტი ვერც ირაკლი თოფაძემ გაიხსენა.

ირაკლი თოფაძე (ფარული აუდიო ჩანაწერი, 2011 წელი)

აბრამაშვილი: – ნახევარი პროცენტი ვის რათ უნდოდა?

ირაკლი თოფაძე: ნახევარი პროცენტიც გადმოფორმდა ჩემზე?

– კი.

– 0,5% ვის რად უნდოდა?

– აი, ნახევარი პროცენტი 10 ლარად გაქვთ ნაყიდი.

წილის გადაფორმების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით აბრამაშვილების ადვოკატებმა სამართალდამცავებს ჯერ კიდევ 2012 წლის გაზაფხულზე მიმართეს. ადვოკატი ამბობს, რომ გამოძიებამ დღეს სადავო 2 სანოტარო აქტიდან ერთზე, 4 დეკემბრის აქტზე, აბრამაშვილის ხელმოწერის ნამდვილობის დადგენისთვის ექსპერტიზა ჩაატარაა. ადვოკატმა გამომძიებლისგან დასკვნის შინაარსი შეიტყო.

გაგი მოსიაშვილი (აბრამაშვილის ადვოკატი): „გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, თუმცა, ტენდენციურად, ჩვენი ინფორმაციით, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს მოხდა 4 დეკემბრის აქტზე ხელმოწერის ექსპერტიზა და ექსპერტიზამ თქვა, რომ ეს იასონის ხელმოწერაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ექსპერტი შეცდა. ექსპერტის დასკვნა არის სპეციალური ცოდნის მქონე პირის მოსაზრება, როცა მის საპირწონედ მთელი რიგი მტკიცებულებები არსებობს, რითაც დასტურდება, რომ

აბრამაშვილების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, მათ "დიდველის" მშენებლობაში 2006-2009 წლებში დაახლოებით 280 ათასი დოლარი ჩადეს. ეს დასტურდება მშენებლისთვის თანხის გადაცემის შესახებ გაკეთებული ჩანაწერებით

ის არ იმყოფებოდა საქართველოში. აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩავატაროთ განმეორებით ექსპერტიზა, ასევე ჩავატაროთ კალიგრაფიული ექსპერტიზა 4 აგვისტოს სხდომის ოქმთან დაკავშირებით, რათა დავდოთ რეალური დასკვნა ამ თემასთან დაკავშირებით“.

შენობიდან გამოსახლებული აბრამაშვილები

ზემოხსენებული სანოტარო მოქმედებების შემდეგ, 2008 წლის დეკემბრიდან შპს „თრიალეთის“ წილები შემდეგნაირად გადანაწილდა. ფირმიდან, რომლის იურიდიულ მისამართად დღესაც აბრამაშვილების ბაკურიანის სახლია მითითებული, დამფუძნებლებიდან საერთოდ გაქრა იასონ აბრამაშვილი. 80%-იანი წილი გოგი თოფაძეზე გაფორმდა, დარჩენილი 20%-კი ირაკლი თოფაძეზე. ამის შემდეგ თოფაძეებს უფლება გაუჩნდათ „თრიალეთის“ მთელი ქონება აბრამაშვილებთან შეთანხმების გარეშე განეკარგათ და ასეც მოიქცნენ. გოგი თოფაძემ „ქართუ ბანკიდან“ 1 მილიონ 325 ათასი დოლარი სესხი აიღო და სანაცვლოდ შპს „თრიალეთის“ ქონება ჩადო.

„ჩვენი ინფორმაციით ამ ვალდებულებების დასაფარად ეს ქონება გადაფორმდება ბანკის საკუთრებად, რომლითაც საბოლოო ჯამში იქნება გასტუმრებული მესამე პირის (გოგი თოფაძის) ვალდებულებები, და არა კომპანიასთან დაკავშირებული ვალდებულებები“, – ვარაუდობს აბრამაშვილების ადვოკატი თემურ ხონელია.

2012 წლის დეკემბერში თოფაძეების მოთხოვნით აბრამაშვილებმა დიდველის შენობიდან საკუთარი ნივთები გაიტანეს.

აბრამაშვილები ჩადებული თანხებისთვის ბრძოლას აპირებენ, გოგი თოფაძე კი ამბობს, რომ მათ არაფერი ეკუთვნით.

გოგი თოფაძე: – ვალიკოს ჩემგან გადაეცით, ჭკუით იყოს, სანამ უფრო ხათაბალაში არ გაეჩხირა, ჭკუით იყოს, გადაეცით, მაგას იქ არაფერი არ ეკუთვნის. ტყუილად ნუ წვალობს, თორემ უფრო გაურთულდება საქმე,

„მონიტორი“: ის ამბობს, რომ მან რამდენიმე ასეული ათასი ლარი ჩადო იმ ობიექტის მშენებლობაში.

– მე უფრო მეტი ჩავდე, მაგრამ დავკარგე, ბანკმა წაიღო.

დღეს ამ საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს, იასონ აბრამაშვილს იმედი აქვს, რომ სამართალდამცავები საქმეს ობიექტურად გამოიძიებენ და მისი ოჯახის შელახული უფლება აღდგება. იასონი და მისი ოჯახი სასამართლოში სამოქალაქო დავის წამოწყებას და მშენებლობაში დახარჯული თანხების დაბრუნებისთვის ბრძოლას გეგმავს. აბრამაშვილები ამბობენ, რომ სამართლიან დასასრულს ელიან.

საყოველთაო ჯანდაცვის ანატომია

ანდრია ურუშაძე

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 28 თებერვლიდან დაიწყო. ჯანდაცვის სამინისტრომ უარი თქვა მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევაზე და აირჩია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სამედიცინო მომსახურების დაფინანსების გზა.

საქართველოს ბიუჯეტი ჯანდაცვას არასოდეს წყალობდა. თუ 1990 - 2004 წლებში ამის ძირითადი მიზეზი კორუფციისა და უნიათო მმართველობისაგან დაცარიელებული ხაზინა იყო, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, გაზრდილი ბიუჯეტის მთავარ პრიორიტეტებად უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურული პროექტები გახდა.

მთელი ამ წლების განმავლობაში სამედიცინო მომსახურება, ძირითადად, საქართველოს მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდილი თანხებით ფინანსდებოდა (თითქმის 70%). ყოველწლიურად მზარდი ბიუჯეტის მიუხედავად (2004 წლიდან გაიზარდა 4-ჯერ – 100-დან 400 მლნ-მდე), სახელმწიფოს წილი მთლიან ჯანდაცვის დანახარჯებში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა და სხვადასხვა მონაცემებით 30%-ს შეადგენს (NHA 2009). ეს ფაქტი იმაზეც მიანიშნებს, რომ ჯანდაცვაზე მთლიანი დანახარჯი წლიდან წლამდე იზრდება და 2010 წლისთვის ამ დანახარჯმა მილიარდ ლარს გადააჭარბა. 2013 წლის ჯანდაცვის ბიუჯეტი 633 მლნ ლარია – 200 მლნ ლარით (თითქმის 45%-ით) მეტი, ვიდრე 2012 წელს ჯანდაცვაზე დახარჯული თანხა. კიდევ უფრო შთამბეჭდავია მთავრობის მიერ დაგეგმილი 2014 და 2015 წლების ჯანდაცვის ბიუჯეტები: 905 მლნ ლარი და 1 400 მლნ ლარი. (საქართველოს მთავრობა. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის). ეს ციფრები ერთ სულ მოსახლეზე რომ გადავითვა-

ლოთ, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო დანახარჯი ჯანდაცვაზე უახლოეს სამ წელიწადში 90 აშშ დოლარიდან 200 დოლარამდე გაიზრდება. შედარებისთვის – ეუთოს ქვეყნები ერთ სულზე საშუალოდ 2000 აშშ დოლარზე მეტს ხარჯავენ.

თუ ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების სტრუქტურას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ყველაზე მზარდი და არაბუნებრივად დიდი წილი ხარჯებისა – ფარმაცევტული დანახარჯია (NHA. 2009). ჩვენ კი წამლებზე 2010 წელს ჯანდაცვაზე დახარჯული ყოველი 10 ლარიდან 4 ლარი გადავიხადეთ. ეს ციფრი თითქმის ორჯერ აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებლებს და შედეგია როგორც მედიკამენტებზე არაპროპორციულად მაღალი ფასისა, ასევე ჯენერიული საშუალებების არაპოპულარულობისა და მედიკამენტების არარაციონალური მოხმარებისა. 2010 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი ფინანსური ტვირთი ჩვენი მოქალაქეებისათვის და ჩვენი ოჯახების ბიუჯეტისათვის სწორედ წამლებთან დაკავშირებული ხარჯებია (HUES. 2010). ეს ტვირთი კიდევ უფრო აუტანელია ღარიბი ოჯახებისთვის და ქრონიკული პაციენტებისთვის, ვისაც წამლის მიღება ყოველდღიურად უწევს. ამის მაგალითებია, ჰიპერტენზიით, ან არაინსულინდამოკიდებული დიაბეტით დაავადებული ჩვენი მოქალაქეები. ისინიც, ვისაც ქიმიოთერაპიის ან C ჰეპატიტის დიაგნოზის გამო იძულებულია საცხოვრებელი სახლი გაყიდოს, ან დააგირაოს ბანკში სესხის სანაცვლოდ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 28 თებერვლიდან დაიწყო. ჯანდაცვის სამინისტრომ უარი თქვა მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევაზე და აირჩია ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სამედიცინო მომსახურების დაფინანსების გზა. ამ ორ მიდგომას შორის განსხვავება იმაშია, რომ თუ დღეისათვის კერძო სადაზღვევო კომპანიები უზრუნველყოფენ დაზღვეული მოსახლეობის სადაზღვევო მომსახურებას, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეებისთვის მინიმალური სამედიცინო პაკეტით გათვალისწინებულ მომსახურებას სოციალური მომსახურების სააგენტო დაფინანსებს. სამინისტროს გეგმით, სექტემბრიდან კერძო სადაზღვევო კომპანიებსაც და სოციალური მომსახურების სააგენტოსაც ახალი, სახელმწიფოს მიერ დაარსებული სააგენტო ჩაანაცვლებს.

ვისაც არ ახსოვს, მინდა შევახსენო, ეს ყველაფერი უკვე იყო, და მას შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა. 1990-1995 წ.წ. შიდა ომებითა და კორუფციით განადგურებულმა საქართველოს ეკონომიკამ ველარ შეძლო „უფასო“ სამედიცინო მოსახურების დაფინანსება და სახელმწიფომ საკუთარი პასუხისმგებლობა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით შემოსაზღვრა.

ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების სამართავად 1996 წელს შექმნა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია, რომლის სამეთვალყურეო საბჭოში შევიდნენ ჯანდაცვის სამნისტროს, ფინანსთა სამინისტროს, არარსამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო და კერძო კლინიკების წარმომადგენლები (1997 წლის №355 განკარგულება). ამის შემდეგ, ყოველ წელს პოლიტიკოსების ზეწოლით იზრდებოდა ჯანდაცვის პროგრამების და ვალდებულებების მოცულობა. შეძახილი: „როგორ, მშობიარობა (ან სხვა ნებისმიერი მომსახურება) არ უნდა იყოს უფასო?” იმ დროისათვისაც ისეთივე დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც დღეს. „უფასო“ მომსახურების სია ყოველ წელს იზრდებოდა და ასევე იზრდებოდა ამ პროგრამების ბიუჯეტის დეფიციტი. ამ დეფიციტის შევსებას ვერც დაწესებულმა სავალდებულო სამედიცინო გადასახადმა უშველა (3% დამსაქმებელისგან და 1% დასაქმებულისგან) და ვერც ადგილობრივი ბიუჯეტებისაგან შექმნილმა რეგიონალურმა ჯანდაცვის ფონდებმა. 1995-2003 წ.წ. სამედიცინო მომსახურება და ექიმების ხელფასები თითქმის მთლიანად მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილ თანხებზე იყო დამოკიდებული.

ჩვენს თვალწინ დაინგრა და განადგურდა სამედიცინო ინფრასტრუქტურა: საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სოფლის ამბულატორიები. მთავარი გაკვეთილი, რომელიც უნდა გვესწავლა ამ წლებიდან, არის ის, რომ ღარიბი ქვეყნის ეკონომიკისთვის ყველასთვის „უფასო“ ჯანდაცვის დაფინანსება შეუძლებელია. პოლიტიკოსები ყოველი არჩევნების წინ შეეცდებიან დაპირდნენ საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო ჯანდაცვას, მაგრამ ამ დაპირების შესრულება დამოკიდებული იქნება არა იმდენად მთავრობის კეთილ ნებაზე, რამდენადაც საქართველოს ეკონომიკაზე და მის გადახდისუნარიანობაზე, გადასახადების გადამხდელთა და ასევე თავად გადასახადების რაოდენობის ზრდაზე.

საყოველთაო დაზღვევის პროგრამა დაუზღვეველი მოქალაქეებისთვის აფინანსებს თერაპევტთან ვიზიტს და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. ცხადია, რომ მოქალაქეების უმეტესობას, გარდა ოჯახის ექიმის კონსულტაციისა, ასევე დაჭირდება ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან, მაგ. ვიზიტი კარდიოლოგთან, საჭირო გამოკვლევების ჩატარება და გამოწერილი წამლების ყიდვა და ეს ფული მოქალაქემ ისევ თვითონ უნდა გადაიხადოს.

ბოლო წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ

2010 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მთავარი ფინანსური ტვირთი ჩვენი მოქალაქეებისათვის და ჩვენი ოჯახების ბიუჯეტისათვის სწორედ წამლებთან დაკავშირებული ხარჯებია

მხოლოდ ექიმის კონსულტაციის დაფინანსება ანაზღაურებადი წამლების და გამოკვლევების გარეშე პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას ვერ გაუმჯობესებს.

ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის მიხედვით მცირდება პირველადი ჯანდაცვის დაფინანსება. დაწესებულებები 1,9 ლარის (2012 წლის ტარიფი) ნაცვლად, ჯამურად 1,11 თეთრს მიიღებენ. ასევე მცირდება ქრონიკული პაციენტების კაპიტაციური დაფინანსებაც. შემცირებული დაფინანსების პირობებში, როცა მოშლილია ინტეგრაცია დამფინანსებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის, მაღალია რისკი რომ ექიმმაც და სამედიცინო დაწესებულებამაც ვერ გაუძლოს ცდუნებას და დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით უფრო მეტი არასაჭირო მედიკამენტი, კონსულტაცია და გამოკვლევა გამოუწეროს პაციენტს. ამის შედეგად, უფასო ვიზიტით მისული პაციენტის ჯიბიდან გადახდა კი არ შემცირდება, არამედ გაიზრდება.

რაც შეეხება გადაუდებელ ჰოსპიტალურ მომსახურებას. აქ მთავარი „სიახლე“ დაავადებათა პოზიტიური სიის აღდგენაა. ესეც 90-იანი წლების გამოგონებაა, როცა სამინისტრო ცდილობდა არარსებული ბიუჯეტით დაეფინანსებინა პოლიტიკური მიზნით გაზრდილი ვალდებულებები.

„პოზიტიური სია“ იმ სამედიცინო დიაგნოზების ჩამონათვალია, რომელსაც აფინანსებს საყოველთაო დაზღვევა. თუ ამ სიას ყურადღებით წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ მაგ. განგრენოზული თიაქარის მკურნალობა ფინანსდება და თიაქარის სხვა შემთხვევების საფასური პაციენტმა თავად უნდა გადაიხადოს. თუ ანევრიზმა უკვე გამსკდარია, პროგრამა გადაიხდის საფასურს და თუ ჯერ არ გამსკდარა და დროზე მიუსწრეს, მაშინ თავად პაციენტმა უნდა დაფაროს მკურნალობის ხარჯი (მთავრობის დადგენილება №36. 2013).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გადაიხდის თუ არა პროგრამა „პოზიტიური სიის“ მკურნალობას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საავადმყოფოში მიიყვანს სასწრაფო პაციენტს. მაგ. თუ ავარიაში მოხვედრილი პაციენტი მოხვდება იმ კლინიკაში, რომელიც ამ პროგრამაში მონაწილეობს, მისი მკურნალობის საფასურს პროგრამა გადაიხდის და თუ ისეთ საავადმყოფოში, რომელსაც ამ პროგრამაში მონაწილეობის სურვილი წერილობით არ დაუდასტურებია, არ გადაიხდის. ყველაფერი ეს ზოგავს სახელმწიფო ხარჯებს, მაგრამ ეს დანაზოგი ხდება პაციენტის ოჯახის ხარჯზე. თუ მოქალაქეს ყურადღებით არ წაუკითხავს მთავრობის №36 დადგენილება, შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ის ყველა შემთხვევაში მიიღებს უფასო გადაუდებელ მკურნალობას, მაგრამ თუ პირობებს კარგად გაცნობა, მიხვდება, რომ ყოველთვის ეს ასე არ არის.

სახელმწიფო დაზღვევის პირობები სწორედ იმით განსხვავდებოდა ადრე არსებული ჯანდაცვის პროგრამებისგან, რომ ის ყველა გადაუდებელ ოპერაციას აფინანსებდა და არა მხოლოდ სამინისტროს მიერ დადგენილ დიაგნოზებს. ამ დროს პაციენტი ფინანსურად დაცულია ნებისმიერი დიაგნოზის შემთხვევაში. ყველას ვისაც შეხება ჰქონია ადრე არსებულ ჯანდაცვის პროგრამებთან, ახსოვს, რომ პოზიტიური სია მუდმივად იყო დიაგნოზების გაყალბების, „გაპროგრამების“და „გაურგენტების“ მიზეზი და ამ პროგრამების ინპექტირების დროს მუდმივად არსებობდა შემმოწმებელსა და საავადმყოფოს შორის კორუფციული გარიგების მაღალი რისკი.

ივლისიდან საყოველთაო დაზღვევა მოსახლეობას შესთავაზებს არა მინიმალურ, არამედ უკვე ბაზისურ პაკეტს. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში მაინც დაფინასდეს არა პოზიტიური სია, არამედ ზოგადად გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, როგორც ამას აკეთებდა და ჯერ კიდევ აკეთებს არსებული სახელმწიფო დაზღვევა. ამით დაცული იქნება მოქალაქეც გაუთვალისწინებელი ხარჯებისგან, და ამავე დროს, თავიდან ავიცილებთ მანიპულაციებს სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან.

ასევე მნიშვნელოვანია გაიზარდოს ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია და ანაზღაურების ლიმიტი თუნდაც მხოლოდ სიღარიბის ზღვარს მყოფი მოსახლეობისთვის. ეს სია თავიდან შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ქრონიკული პაციენტებისათვის აუცილებელ მედიკამენტების ჩამონათვალს თანაგადახდის პირობით. უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სავალდებულო რეცეპტი, რომლის შემოღება საყოველთაო დაზღვევის პირობებში მოსახლეობისათვის ნაკლებ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. რეცეპტის ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად, ეს იქნება რეალური ნაბიჯი ჯიბიდან გადახდების და კატასტროფული ხარჯების შესამცირებლად. ეს ნაბიჯი შეასუსტებს ფარმაცევტული კომპანიების ზეწოლას ექიმებზე და დაიცავს მომხმარებელს მედიკამენტების არარაციონალური მოხმარებისგან.

საყურადღებოა, გაითვალისწინებს თუ არა ჯანდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა იმ შეცდომებს, რისი თავიდან აცილებაც ვერ მოხერხდა 90-იანი წლების ბოლოს. იმედს ვიტოვებთ, რომ ჯანდაცვის პოლიტიკა პოლიტიკური დაპირებების მძევალი აღარ იქნება.

ბოლო წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მხოლოდ ექიმის კონსულტაციის დაფინანსება ანაზღაურებადი წამლების და გამოკვლევების გარეშე პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას ვერ გაუმჯობესებს.

მწეველები მეტს ბაღალიზდებიან

„ხშირად ის ზიანი, რასაც საზოგადოებას თამბქოს მოხმარება აყენებს, ყურადღების მიღმა რჩება. საყურადღებოა, რომ ეს ზიანი თითქმის მწეველთან ერთად ადგება მასაც, ვინც თავად არ მოიხმარს სიგარეტს, მაგრამ ხვდება გარემოში, სადაც სხვები ეწევიან – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დაწესებულებებში...“ – თამბაქოს მავნებლობაზე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ 29 მარტს, „საქართველო თამბაქოს გარეშე“ დღის აღსანიშნავ შეხვედრაზე ისაუბრა.

თათია ხალიანი

საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება დღე, რომლის მიზანიც თამბაქოს მავნე ზეგავლენის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. წელს ამ დღის მთავარი თემა „თამბაქო და ორსულობა“ იყო.

„მსოფლიოში თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თამბაქოს გლობალური ეპიდემია წელიწადში დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს, აქედან 600 000-ზე მეტი ადამიანი მეორადი კვამლით იღუპება. ე.წ. პასიურ მოწევას ისეთივე შედეგები მოაქვს, რაც აქტიურს,“ – ვკითხულობთ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე.

საქართველოს მთავრობამ თამბაქოს წინააღმდეგ აქტიური კამპანია დაიწყო. 2013 წლის 15 მარტს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება, რომელიც თამბაქოზე კონტროლის გაძლიერებას გულისხმობს. დადგენილების მიხედვით შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომლის ძირითადი ამოცანა ერთი თვის ვადაში თამბაქოს კონტროლის გრძელვადიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაა. სამთავრობო კომისია სხვადასხვა უწყებებსა და სექტორებს თამბაქოს კონტროლის გაძლიერების კუთხით მთელი რიგი ცვლილებების გატარებას დაავალებს, რომლის მიზანი იქნება ქვეყანაში თამბაქოთი გამოწვეული დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირება.

სამთავრობო კომისიას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო მისი წევრები არიან მინისტრები, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად.

> **სამოქმედო გეგმის ძირითადი პრინციპებია თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისიის ფუნქციონირება, თამბაქოს ყველა სახის ნაწარმზე სააქციზო გადასახადის პერიოდულად გაზრდა, საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების მომზადება. ასევე თამბაქოს შესახებ არსებულ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე მუშაობა.**

კომისიის სამდივნოს ფუნქციას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ასრულებს. შესაბამისად, ცენტრს თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო უწყებათაშორისი პროგრამის პროექტის მომზადება ევალება.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის თქმით, ამ ეტაპზე თამბაქოს კონტროლის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსია არსებობს.

სამოქმედო გეგმის ძირითადი პრინციპებია თამბაქოს კონტროლის სამთავრობო კომისიის ფუნქციონირება, თამბაქოს ყველა სახის ნაწარმზე სააქციზო გადასახადის პერიოდულად გაზრდა, საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების მომზადება. ასევე თამბაქოს შესახებ არსებულ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე მუშაობა.

„საერთაშორისო მეთოდია სხვადასხვა ტიპის აკრძალვები, სანქციები და რთულად ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონსესუსი და მოსახლეობის ინფორმირებულობა. სტრატეგიის რეალურად ამუშავება კი სერიოზულ შედეგს მოგვცემს. უმთავრესი არის ის, რომ ქვეყანში თანდათან მწეველთა რიცხვი უნდა შემცირდეს“, - ამბობს გამყრელიძე.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირე-

ბით საგანგაშო სტატისტიკაზე საუბრობენ. საქართველოში თამბაქოსაგან გამოწვეული დაავადებებით ყოველწლიურად 11 000 ადამიანი იღუპება, აქედან 3 000 პასიური მოწევის მსხვერპლია. 2012 წლის მონაცემებით მწეველები მოსახლეობის 30.4% შეადგენს და მათი 91.2% ყოველდღიური მწეველია, რაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მწეველების უმრავლესობა დღეში საშუალოდ 20 ღერს მოიხმარს, რაც თამბაქოსადმი მძიმე დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ბოლო 12 თვის მანძილზე მოწევისთვის თავის დანებება წარუმატებლად სცადა დაახლოებით 39%—მა, აქედან 40% მამაკაცი იყო, ხოლო 26% – ქალი.

2010 წელს ჩატარებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევის მიხედვით, მწეველია მამაკაცების 55%, ხოლო ქალების დაახლოებით 5%. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაზრდილია. განსაკუთერებით მწეველების რიცხვი ახალგაზრდებში გაიზარდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის არაგადამდები დაავადებების დეპარტამენტის უფროსის, ლელა სტურუას თქმით, თამბაქოს მოხმარება ბავშვებშიც გაიზარდა და არის შემთხვევები როდესაც მოწევას უკვე 9 წლიდან იწყებენ. ასევე ორსულების 33% მწეველია.

სტურუას თქმით, ეს პრობლემა ბევრ ქვეყანში დგას და ისინი ამ პრობლემასთან გამკლავებას სხვადასხვანაირად ცდილობენ, თუმცა საერთაშორისო რეკომენდაცია კონტროლის გამკაცრებას გულისხმობს.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ, რომ აქამდე თამბაქოს მოხმარება არ კონტროლდება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამის შესახებ უკვე დიდი ხანია არსებობს.

საქართველოს პარლამენტმა კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცა. რასაც მოჰყვა კანონები „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“, კანონი „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“, კანონი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“, კანონი „თამბაქოსა და კვების პროდუქტების ლიცენზირების შესახებ“. 2005 წელს საქართველო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო-კონვენციასაც შეუერთდა.

არსებული კანონმდებლობით, თამბაქოს მოწევა იკრძალება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში ყველა სახის სამედიცინო, სასწავლო, სახელმწიფო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში. აკრძალულია 18 წლამდე პირებისთვის თამბაქოს მიყიდვა. ასევე ღერებით გაყიდვა. კანონდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ჯარიმის ოდენობა 5-იდან 500 ლარამდე მერყეობს.

2010 წელს ჩატარებული არაგადამდებ დაავადებთა რისკ-ფაქტორების კვლევის მიხედვით, მწეველია მამაკაცების 55%, ხოლო ქალების დაახლოებით 5%. თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაზრდილია. განსაკუთერებით მწეველების რიცხვი ახალგაზრდებში გაიზარდა.

თუმცა ამ მუხლით გადახდილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სტატისტიკა მეტყველებს, რომ კანონში გაწერილი აკრძალვების დარღვევა დასჯადი არ ყოფილა.

2010 წელს რამდენიმე კანონი გაუქმდა (კანონი „სოფლის მეურნეობისა და თამბაქოს შესახებ“, კანონი „თამბაქოსა და კვების პროდუქტების ლიცენზირების შესახებ“), ხოლო დარჩენილი კანონები, რომელიც თამბაქოს კონტროლს ეხებოდა, ერთ კანონში – „თამბაქოზე კონტროლის შესახებ“ გაერთიანდა. თუმცა ადმინისტრირების და კონტროლის კუთხით კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა და მხოლოდ ძირითადი შეზღუდვები დარჩა.

ექსპერტები ამბობენ, რომ კანონმდებლობის და კონვენციის ადმინისტრირების კუთხით ქვეყანაში მთელი რიგი ცვლილებები უნდა განხორციელდეს და თამბაქო ნაკლებად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, რადგან აქამდე ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდა.

„კანონის აღსრულება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს ევალება. უნდა კონტროლდებოდეს იცავენ თუ არა კანონს. თუ 2006 წელს 8 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, წელს ეს რიცხვი 11 ათასია. თამბაქოს მოხმარების გამო ქალების 25%-ში ფილტვის კიბოს შემთხვევა ფიქსირდება. ეს პოპულარიზაციის ბრალია და ამას არავინ აკონტროლებდა, რადგან ხდებოდა თამბაქოს ინდუსტრიის ლობირება“, – ამბობს „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე.

ბახტურიძის თქმით, წლების განმავლობაში არც არსებულ კანონმდებლობას ითვალისწინებდნენ და არც იმ საერთაშორისო კონვენციას იცავდნენ, რომელიც რეკლამის და თამბაქოს პოპულარიცაზიის სრულად აკრძალვას გულისხმობს.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო – კონვენცია



მთელ რიგ ქვეყნებს პერიოდულად აქციზზე გადასახადის გაზრდას ავალდებულებს. საქართველოს ამ ვალდებულების შესრულება ჯერ კიდევ 2006 წლის მაისიდან ევალებოდა, თუმცა ბახტურიძის თქმით, ამ პერიოდში ქვეყნის ხელისუფლებამ გაზრდის ნაცვლად აქციზზე ფასი 1,5-ჯერ შეამცირა და საერთაშორისო ხელშეკრულება დაარღვია.

ამ ეტაპზე აქციზის ფასი ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრია, უფილტროზე 15 თეთრი. სავარაუდოდ ერთ თვეში გახდება ცნობილი კონკრეტულად რამდენით გაიზრდება ფასი აქციზზე, თუმცა საუბარია 40-50%-იან ზრდაზე.

ინფორმაციას აქციზის გაზრდის შესახებ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მოჰყვა. ექსპერტების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს პრობლემები შეექმნებათ და აქციზზე ფასის გაზრდის შემთხვევაში ისინი იძულებული გახდებიან თამბაქოზე ფასი გაზარდონ.

შ.პ.ს „ბესტ ტობაკოს“ მარკეტინგის მენეჯერი, სოსო მურღულია ამბობს, რომ თავისთავად ბიზნესისთვის ეს კარგი არ არის, რადგან თუ აქციზს ფასი მოემატება სარეალიზაციო ღირებულებაც გაიზრდება.

სააქციო საზოგადოება „tbilisi tobacco“-მ, რომელიც საქართველოში მთავარ თამბაქოს მწარმოებელ კომპანიას წარმოადგენს, კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს თქმით, თამბაქოს გაძვირება მოსალოდნელია, თუმცა ეს პროცესი სტრატეგიულად გაიწერება და მასში მონაწილეობას ფინანსისტები და ეკონომისტები მიიღებენ.

„ეს არ იქნება უეცარი, იმპერატიული და თამბაქოს ინდუსტრიისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება“, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

ანაბელი მშობლები დახმარების მოლოდინში

სოფელ ანაგაში ერთი თვეა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მშობლები გაერთიანდნენ საკუთარი შვილების დასახმარებლად. მათ ახლა სახელმწიფოს მხარდაჭრა სჭირდებათ.

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური

სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, სატრანსპორტო გზიდან აღმოსავლეთით, დანგრეულ ორღობეებს თუ გაუყვებით, ნახევარი კილომეტრის მოშორებით, აგურით ნაშენ ორსართულიან სახლს მიადგებით, რომელშიც, დღის უმეტეს ნაწილს უკვე ერთი თვეა, შვიდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ატარებს.

პირველ სართულზე ფარდაჩამოფარებული ორი ოთახია, სიბნელეში ძველ ნივთებს ძლივს ვარჩევ, ნესტის სუნს ვერ ვუძლებ, მალევე გამოვდივარ და მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს ვეძებ.

ხის წრიული კიბის გარშემო გრძელი ფარდებია ჩამოფარებული, თუმცა ნახევრად ჩამოშლილი და შპალერახეული კედლები თვალში მაინც მხვდება.

ოთახიდან ერთ-ერთი ბავშვის მშობელი გამოდის და ცოტა ხნით მოცდას მთხოვს: „ბოდიში, ნინო ბავშვს აცმევს და ორი წუთით აქ მოვიცადოთ“. ნაზი ამ სახლის შესახებ მოკლედ მიყვება.

დაახლოებით ერთი თვის წინ, ანაგელმა მშობლებმა შვილებისთვის ე.წ. დღის თავისივე ინიციატივით ცენტრის გაკეთება გადაწყვიტეს. ერთ-ერთმა თანასოფლელმა მათ სახლი დაუთმო. თუმცა თვითდაარსებულ დღის ცენტრს დახურვა ემუქრება, რადგან მშობლებს ტრანსპორტის თანხა გამოელიათ.

„სახლიდან აქ მოსასვლელად დღეში ათი ლარი მაინც გვჭირდება, ამას თან ახლავს სხვადასხვა წვრილი პრობლემაც. შეხედეთ ჯერ მარტო კიბეს, ყოველდღე აქ ეტლით ბავშვების აყვანა-ჩაყვანა ადვილი ხომ არ გგონიათ?“ – მეუბნება ნაზი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დილის 10 საათზე სოფლის სხვადასხვა ნაწილიდან, სამარშრუტო ტაქსის მოჰყავს, 5 საათზე კი სახლში ბრუნდებიან. სიღნაღის რაიონის გამგეობამ ტრანსპორტირებისთვის აღსაზრდელებს ერთჯერადად, მარტში 150 ლარი გამოუყო.

დღის განმავლობაში მათთან მორიგეობით ორი მშობელი და ერთი მოხალისე მასწავლებელი რჩება. მშობლები ამზადებენ საჭმელს, ალაგებენ სახლს, მარიკა დემეტრაშვილი კი, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, უსასყიდლოდ ეხმარება აღსაზრდელებს, უკითხავს წიგნებს და, პარალელურად, კითხვას და ჭრა-კერვას ასწავლის.

საცხოვრებელი სახლიც, რომელშიც აღსაზრდელები დღის უმეტეს ნაწილს ატარებენ, მარიკას დახმარებით მოიძიეს და ქირის გადახდაც არ უწევთ.

„მე თვითონ წლების განმავლობაში ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე მოხალისედ მემუშავა“, – მიყვება მარიკა.

და, პარალელურად, ბავშვებს ამეცადინებს „აი-ია, გიო, აბა ხმამაღლა თქვი, ნუ გრცხვენია“.

მათ შორის ყველაზე პატარა 9 წლის მარიამია. 20 წლის ლიას, რომელიც დღის ცენტრში თავის ტყუპისცალთან და უმცროს დასთან ერთად იმყოფება, რამდენიმე თვის შვილიც თან ჰყავს.

ერთ-ერთი მშობელი დაჯდომას მთავაზობს, თუმცა ნაზი ხმამაღლა მეუბნება: „მოიცა, ეგ სკამი მორყეულია, არ დავარდე, სხვას შემოგიტან“. დაჯდომა მავიწყდება.

ნაზი გიორგის დედაა, მას მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, რამდენიმე თვეა სოფელში გადმოსახლდა, იქამდე თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და გიორგი დღის ცენტრში დაჰყავდა.

ერთი წლის წინ უთხრეს, რომ წნორში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სკოლა იხსნებოდა და გადაწყვიტა, უკან, ანაგაში დაბრუნებულიყო.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრი წნორში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციის „მრავალშვილიან დედათა და შშმ ბავშვთა დახმარების ცენტრის“ ინიციატივით უნდა გახსნილიყო. ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სკოლის გახსნა მომავალ აღსაზრდელებს „პროკრედიტ ბანკმაც“ მიულოცა, თუმცა პირველი ივნისის შემდეგ სკოლაში ბავშვებს ერთი დღეც არ გაუტარებიათ: „როგორი იმედი გვქონდა, რომ ჩვენს შვილებს გარეთ, სხვა ბავშვებთან ერთად მოუწევდათ ყოფნა. მაგრამ, სკოლაში გახსნის დღეს მხოლოდ ნახევარი საათი გავატარეთ, ფოტოები გადაგვიღეს, „პროკრედიტ ბანკმა“ ბავშვებს საჩუქრები დაურიგა. იმ დღის მერე ცენტრი გაუგებარი მიზეზით დაიხურა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ნანა გელაშვილმა, ფაქტობრივად მოგვატყუა და დღემდე არ ვიცით, სად წავიდა ჩვენთვის გამოყოფილი თანხა“, – მეუბნება გიორგის დედა და კედელზე გაკრული ფოტოებით გაფორმებულ პლაკატს მაჩვენებს, სადაც ბუშტებით ხელში მოღიმარი ბავშვების სახეებს ვხედავ.

აღსაზრდელების სამეცადინო მრგვალი მაგიდის გარდა ოთახის კუთხეში საკერავი მაგიდა დგას, მეორე შედარებით პატარა ოთახში, შეშის ღუმელზე ნინო სადილს ამზადებს, იქვე რკინის საწოლის გვერდით ფანჯრის რაფებზე ჭურჭელია დალაგებული.

ნაზის გარდა, ყველა მშობელი მრავალშვილიანია. მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო პენ-

■ დღის განმავლობაში მათთან მორიგეობით ორი მშობელი და ერთი მოხალისე მასწავლებელი რჩება. მშობლები ამზადებენ საჭმელს, ალაგებენ სახლს, მარიკა დემეტრაშვილი კი, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, უსასყიდლოდ ეხმარება აღსაზრდელებს, უკითხავს წიგნებს და, პარალელურად, კითხვას და ჭრა-კერვას ასწავლის.

სია (70 ლარი) და სოციალური დახმარებაა, მაგრამ ყველა მათგანი ამბობს, რომ ეს ბავშვების მოსავლელად მიზერული თანხაა და წამლებშიც კი არ ჰყოფნით.

"ჩემს მარიამს შიდა ქალის წნევა აქვს. წარმოიდგინეთ 70 ლარად რა რთულია მისი მოვლა. თვეში მინიმუმ 120 ლარის წამლები სჭირდება, ხანდახან მეოთხედ დოზას ვაძლევ, რომ გამოვიზოგო, ამის გამო კი სხეულის დაჭიმულობა აწუხებს-ხოლმე. ბოლო დროს, ცუდი დედა გავხდი, უფროს შვილს საკვებს ვუმალავ, რომ მარიამმა მეტი ვიტამინი მიიღოს,"- მესაუბრება ლალი სიყმაშვილი.

„კინაღამ ვიტირე იმ დღეს, 40 ლარი აფთიაქში რომ დავტოვე", – საუბარში ერთვება 11 წლის სოფოს დედაც.

თუმცა, სოციალურ პრობლემებზე მეტად, ამ დროისთვის მშობლებს სახლის დახურვა აშინებთ.

1 თვეა მარიამი სხვა ბავშვებთან ურთიერთობას მიეჩვია, ალაპარაკდა და სხვადასხვა უნარები გამოიმუშავა.

მარიკა მასწავლებელი იხსენებს, რომ მშობლებს ბავშვები ხელით ჭამას ჰყავდათ მიჩვეულები, ახლა კი ისინი დამოუკიდებლად იკვებებიან. გარდა ამისა, ლია და თავისი დები, დღის განმავლობაში საკერავ მანქანაზე მუშაობენ. „შენ უკვე საკუთარი თავის გარდა, შვილი გყავს სარჩენი, შეგიძლია გააგრძელო ჭრა-კერვის სწავლა და მუშაობაც დაიწყო", – ესაუბრება ყველაზე უფროს აღსაზრდელს მარიკა და ბოლოს თავის ოცნებასაც მიმხელს: „21 აპრილამდე თბილისში ცირკია ჩამოსული და ძალიან მინდა ბავშვების წაყვანა".

იქამდე კი, ე.წ. დღის ცენტრის აღსაზრდელები ძველი წიგნებიდან კითხვას და სიტყვების ხმამაღლა გამოთქმას სწავლობენ. სოფო და მარიამი ადრე სკოლაშიც დადიოდნენ, შემდეგ სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში სიარული გაუჭირდათ და განათლების სამინისტროს პროგრამის შესაბამისად, მასწავლებელმა მათთან სახლში სიარული დაიწყო.

ე.წ. დღის ცენტრში სიარულის შემდეგ, მასწავლებელი სოფოსთან ვეღარ დადის, რადგან ბავშვი მთელი დღე სახლში არაა.

მშობლებმა მითხრეს, რომ საკვებითა და ტრანსპორტირების თანხით დახმარების თხოვნით რამდენჯერმე სოფლის გამგებელსაც მიაკითხეს.

თუმცა, როგორც აღნიშნეს, გამგებელი მათი ბედით არც დაინტერესებულა: „ზოგადად, ეს

სოფელი და მთლიანად ქიზიყი უყურადღებობას მიჩვეული მხარეა, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, რომ სოფელი საერთოდ არ დაგვიდგებოდა მხარში, ერთხელაც არ მოსულა გამგებელი და არ დაინტერესებულა, როგორც ვართ. დღეს, მაგალითად, ოთხი პური სახლიდან წამოვიღე, ხვალ სხვა მშობელი მოიტანს, მაგრამ, სახლში სხვა შვილებიც გვყავს, სოციალურადაც კი იმდენად გვიჭირს, რომ დიდი ხანი ასე ვერ გავძლებთ".

მშობლები მიყურებენ და ელოდებიან შემდეგ შეკითხვას როდის დავსვამ „კარგი, ახლა კამერას მოვიმარჯვებ და ფოტოების გადაღებას დავიწყებ".

„მოიცა, შვილო, უნდა გაჩვენოთ, რა გაჭირვებით ჩაგვყავს ბავშვები კიბეზე“ და ოთხ მშობელს მარიამი გარეთ გამოჰყავს...

„შვილო, რამე გვეშველება შენი აზრით?, აი ახლა გამგებელთან რომ ახვალ, გაგვაგებინე მერე რას გეტყვიან რა“, – მთხოვს მარიამის დედა, ღალი სიყმაშვილი და წამოსვლისას სუფრასთან დაჯდომას და ყავის დალევას მთავაზობს.

ბავშვების ოთახიდან საკერავ მანქანას იატაკზე დგამს და პატარა ოთხკუთხა მაგიდაზე, ბრინჯის რძიან ფლავს, პურს, ყავას და მაღაზიის ნამცხვარს ალაგებს.

„ეს არის ჩვენი მთელი ავლა-დიდება, მაგრამ გულითაა გაკეთებული და უნდა დაგვეწივიო“

„სოფელი რაიონული ცენტრის მიერ ფინანსდება, შესაბამისად, ჩემთვის შეუძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლის დახმარება. ამაზე პასუხი სიღნაღის გამგებელმა უნდა გაგცეთ, ჩვენ ცალკე ბიუჯეტი არ გვაქვს გამოყოფილი“, – მეუბნება ანაგის გამგებელი სოლომონ საგინაშვილი და სიგარეტს უკიდებს. კაბინეტში ერთი გრძელი მაგიდა, ბიძინა ივანიშვილისა და პატრიარქის ფოტო და რამდენიმე ხის სკამი ალაგია.

სიღნაღის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსმა ეკა ჩახნაშვილმა განგვიმარტა, რომ დებულებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის წელიწადში მხოლოდ ერთხელ ერთჯერადი დახმარებაა გათვალისწინებული: „მე საქმის კურში ვარ ამ სახლზე, ხშირად დავდივარ მათთან და მართლა მინდა დახმარება. უბრალოდ ამ შვიდი ბავშვიდან ექვსზე უკვე გავეცით ერთჯერადი დახმარება. ერთსა და იმავე ოჯახზე კი ორჯერ თანხის გამოყოფის უფლება არ გვაქვს,“ – აღნიშნა ეკა ჩახნაშვილმა და ისიც გვიამბო, რომ რამდენიმე კვირაა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან აქტიური მოლაპარაკებები აქვს და იქნებ, რომელიმე მათგანმა სახლის დაფინანსების ინიციატივა გამოიჩინოს: „იმის გარანტიას გაძლევთ, რომ ეს სკოლა არ დაიხურება და მას ოფიციალური სახე მიეცემა, უბრალოდ, ცოტა დრო მჭირდება“.

სოციალური სამსახურის ხელმძღვანელთან საუბრის შემდეგ, გადავწყვიტე, სიღნაღის გამგებელთან გამერკვია, შეზღუდული შესაძლე-

ბლობის მქონე პირთა დასახმარებლად, გამგეობას რა ვალდებულება აქვს აღებული:

„ცოტა ხნით დაელოდეთ, ბატონ რამაზს იურისტთან მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს“, – მითხრეს გამგეობაში.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოლოდინში დაახლოებით ერთი საათი გავიდა. მდივანს ავუხსენით, რომ თბილისში იმ დღესვე ვბრუნდებოდით და გვეჩქარებოდა: “იცით, ბატონმა რამაზმა მითხრა, ცოტა უდროო დროს არიან მოსულებიო. სოციალური სამსახურის უფროსს დაელაპარაკონ. იმავეს ეტყვის, რის თქმასაც მე ვაპირებო“, – მოგვიბოდიშა მდივანმა.

„კი, მაგრამ, სტატიაში ოფიციალური კომენტარი გვჭირდება, იძულებულები ვიქნებით დავწეროთ, რომ გამგებელმა ჩვენთვის ვერ მოიცალა“ – ვეუბნებით მდივანს, რომელიც ისევ ბრუნდება უფროსის კაბინეტში. ორ წუთში კი რამაზ პოპიაშვილის კაბინეტში ვართ და ანაგაში გახსნილი ე.წ. დღის ცენტრის შესახებ ვესაუბრები.

– ბატონო რამაზ, რითი ეხმარება ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ასეთი საჭიროების ბავშვებს?

– ჩვენ ყოველწლიურად მათ ეტლებით და საჭირო ინვენტარით ვამარაგებთ. ასევე, წელიწადში ერთხელ, უფლება გვაქვს 150 ლარის ოდენობის თანხა გამოვუყოთ.

– რაც შეეხება კონკრეტულად, ანაგაში მშობლების ინიციატივით გახსნილ სკოლას, ალბათ გსმენიათ მათ შესახებ, ახლა ტრანსპორტირების ფული გაუთავდათ, რითი შეუძლია გამგეობას, რომ მათ დაეხმაროს და ბავშვებმა შეძლონ სკოლაში სიარული?

– სოციალური სამსახურის უფროსი განგიმარტავდათ უკვე, რომ ჩვენი კეთილი ნების მიუხედავად, დებულებაში კონკრეტულად წერია, რომ თუ ოჯახზე 150 ლარი, წლის განმავლობაში უკვე გაცემულია, მეორეჯერ თანხის გამოყოფა არ შეგვიძლია. კანონს ხომ ვერ დავარღვევთ?

სიღნაღის გამგებელს ვემშვიდობებით და კაბინეტიდან გამოსვლისას ჩემს ყურადღებას ორმაგი კარი იპყრობს. გურჯაანის გამგებლის კაბინეტი მახსენდება. თვეების წინ მასთან რეპორტაჟის გასაკეთებლად მისულს, სწორედ ასეთივე კარის გავლა დამჭირდა.

„ჩემს მარიამს შიდა ქალის წნევა აქვს. წარმოიდგინეთ, 70 ლარად რა რთულია მისი მოვლა. თვეში მინიმუმ 120 ლარის წამლები სჭირდება, ხანდახან მეოთხედ დოზას ვაძლევ, რომ გამოვიზოგო, ამის გამო კი სხეულის დაჭიმულობა აწუხებს-ხოლმე. ბოლო დროს, ცუდი დედა გავხდი, უფროს შვილს საკვებს ვუმალავ, რომ მარიამმა მეტი ვიტამინი მიიღოს“.

ცემენტის მტვერში ბახვეული პასხეულნოვანთა დაწესებულება

ცემენტის ქარხანა საფრთხეს უქმნის ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას და იქვე მდებარე ავჭალის სპეციალური დაწესებულების არასრულწლოვან ბინადრებს.

სოფო აფციაური

ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულებიდან 50 მეტრის მოშორებით, შპს „მიქსორის“ ცემენტის ქარხანა მდებარეობს, რომლის გამონაბოლქვი და მტვერი, კოლონიის ადმინისტრაციით თქმით, წლებია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

„გაზაფხულიდან ქარხანას მეტი წარმადობის უნარი აქვს, ხანდახან ირგვლივ ისეთი ბუღი და მტვერია, რომ სუნთქვაც კი შეუძლებელია. ქარხნის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე სიტყვიერად მივმართეთ, რომ ფილტრები დაეყენებინათ, თუმცა ამ დრომდე რეაგირება არ მოუხდენიათ. გარდა ამისა, მერიაში განცხადებაც შევიტანეთ, რომ მანქანების გადაადგილების შედეგად, გზიდან წარმოქმნილი მტვერი არაჰიგიენურ პირობებს ქმნის“, – ამბობს დაწესებულების დირექტორი, ტატო ქელბაქიანი.

შპს „მიქსორის“ იურისტის მურმან გრიგოლიას განმარტებით, ქარხანა ყველანაირი სტანდარტის დაცვით მუშაობს და ეს ფაქტი მერიის ზედამხედველობის სამსახურმაც დაადასტურა. დაახლოებით ორი კვირის წინ მერიის სამსახურმა, ავჭალის დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადების საფუძველზე, ქარხანა დაათვალიერა.

„როგორც ვიცი, ავჭალის არასრულწლოვანთა სპეციალურმა დაწესებულებამ მერიის სამსახურს, გამონაბოლქვისა და მანქანების გადაადგილებით გამოწვეული მტვრის გამო მიმართა, თუმცა, მერიის თანამშრომლებმა დაათვალიერეს ქარხანა და აღმოჩნდა, რომ ყველანაირი სტანდარტის დაცვით ვმუშაობთ. რაც შეეხება ფილტრების დაყენების საკითხს, ამის საჭიროება არაა საწარმოში, ჩვენ ახალი სატვირთო მანქანები შევიძინეთ, მოდის დალუქული სატვირთოები, სპეციალური მილის დახმარებით კი ცემენტი პირდაპირ კონტეინერებში თავსდება,“- აღნიშნა გრიგოლიამ.

როგორც აღმოჩნდა, თბილისის მერიაში შეტანილი საჩივარი ერთადერია და ციხის ადმინისტრაციას ამ დრომდე გარემოს დაცვის სამინისტროსთვის არ მიუმართავს, რომლის შემადგენლობაში არსებული ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი ობიექტის შესწავლის გადაწყვეტილებას ფიზიკური, ან იურიდიული პირებისგან მიღებული განცხადების საფუძველზე იღებს.

ეს ცვლილება 2011 წლის რეორგანიზაციის შედეგია. როცა გარემოს დაცვის ინსპექციის ნაცვლად, მის ბაზაზე ორი სტრუქტურული ერთეული შეიქმნა: ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურების სამინისტროში – ბუნებრივი რესურსების სააგენტო, და გარემოს დაცვის სამინისტროში – ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი.

გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, თამარ შარაშიძე „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობს, რომ ამ დროისთვის დეპარტამენტში საჩივარი შესული არაა. მისი არსებობის შემთხვევაში კი, გარემოს დაცვის სამინისტრო საკითხის მოკვლევას დაიწყებს: „დეპარტამენტისთვის არავის მოუმართავს საჩივრის სახით. აღნიშნული ვითარების შესახებ ინფორმაციას ვფლობთ და როგორც კი ვინმეს განცხადება შემოვა, სამინისტრო რეაგირებას მოახდენს“.

სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, აღნიშნული პრობლემის გადაჭრას მაქსიმალურად მოკლე დროში ეცდება.

„გარემოს დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩვენ დავაყენებთ საკითხს, რომ შპს „მიქსორმა“ სტანდარტების შესაბამისად განაგრძოს მუშაობა. ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანი არასრულწლოვანთა ჯანმრთელობაა. ეს ქარხანა, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, შპს „მიქსორის“ საკუთრებაა, დაწესებულებიდან 50 მეტრის მოშორებით მდებარეობს. იქ არსებული

„პიოდერმია (კანის დაავადება) მსჯავრდებულთა 26.5% ს აღენიშნება. ინფექციური და პარაზიტული დაავადებებიდან კი - ბღერი - დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულთა 25,5%-ს გამოუვლინდა“ – ეწერა დასკვნაში.

არაჯანსაღი გარემო, სმოგი და მტვერი შეიძლება სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზი გახდეს. მაგალითად: ქრონიკული ბრონქიტი, თვალის პათოლოგიები, დაწესებულებაში ასევე ხშირია კანის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადები," – განმარტა თალაკვაძემ.

გამონაბოლქვითა და მტვრით გამოწვეული მდგომარეობის შესახებ „ლიბერალს" ერთ-ერთი არასრულწლოვანი პატიმარიც ესაუბრა. ის უკვე ორი წელია დაწესებულებაში იმყოფება და ამბობს, რომ ცემენტის მტვრის გამო ჯანმრთელობის პრობლემები არაერთხელ შეექმნიათ: „ფილტვები საშინელ მდგომარეობაში გვაქვს, რამდენიმე ჩემს მეგობარს კანის პრობლემებიც შეექმნა," – ამბობს ის. დაწესებულებაში ამ დროისთვის 45 არასრულწლოვანი იხდის სასჯელს.

2010 წელს ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველომ" და „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოცია-

ლური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა“ არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების მონიტორინგი განახორციელა.

კვლევის მიზანი არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ჯანდაცვის სფეროს ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება იყო. დასკვნაში ეწერა, რომ ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში მსჯავრდებულებს ყველაზე მეტად სწორედ სასუნთქი გზების პრობლემები, სხვადასხვა სახის ინფექციური და კანის დაავადებები აწუხებთ.

„პიოდერმია (კანის დაავადება) მსჯავრდებულთა 26.5%-ს აღენიშნება. ინფექციური და პარაზიტული დაავადებებიდან კი – ბღერი – დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მსჯავრდებულთა 25,5%-ს გამოუვლინდა“- ეწერა დასკვნაში.

მართალია, 2010 წლის კვლევას პატიმართა დაავადებები ქარხნის გაუმართავ მუშაობასთან პირდაპირ არ დაუკავშირება, თუმცა არჩილ თალავკაძე ამბობს, რომ აღნიშნულ ქრონიკულ დაავადებებს ხშირ შემთხვევაში, სწორედ დაბინძურებული ჰაერი და ცემენტის მტვერი იწვევს.

ავჭალის არასრულწლოვანთა ციხის მთავარი ექიმის, ნინო უდესიანის თქმით, ზამთართან შედარებით, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში კანის დაავადებები უფრო მეტად იმატებს და წლების მიხედვით პროცენტულად ასე ნაწილდება: 2010 წელს – 38% და 62%, 2011 წელს- 48-52% და 2012 წელს – 47%- 52%.

„სახეზეა დაავადების შემცირების ტენდენცია, თუმცა ზამთართან შედარებით, გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდში კვლავ მატულობს, რაც, ჩემი აზრით, დაწესებულების გვერდით მდებარე ცემენტის ქარხნის მუშაობითაა განპირობებული. სწორედ ამ კომპანიის გამოა შეზღუდული არასრულწლოვანთა ჯანსაღი ფიზიკური და სპორტული აქტივობები. კანის დაავადებებთან ერთად, დაწესებულებაში სხვა დაავადებებიცაა გავრცელებული, როგორიცაა პიოდერმია, ალერგიული დერმატიტი, ალერგიული რანიტი, ნაზო-ფარინგიტი და მწვავე ალერგიულ ფონზე მიმდინარე ბრონქიტი“, – აღნიშნავს უდესიანი.

2010 წლის კვლევაში ეწერა, რომ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ასაკის და გარემო პირობების შესაბამისი იმუნიზაციები არ ტარდებოდა, რაც მათ ინფექციური დაავადებების თვალსაზრისით, მაღალი რისკის ქვეშ აყენებდა. დაწესებულებას არც ბაქტერიულ და პარაზიტულ ინფექციებთან ბრძოლის გეგმა გააჩნდა.

2013 წლის თებერვალში, განახლებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ერთი ნაწილი გაიხსნა. მთლიანად განახლდა ინფრასრუქტურა, გაუმჯობესდა მოზარდთა საცხოვრებელი პირობები. დაწესებულება თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა: საცხოვრებელი ფართი, სამზარეულო, სპორტული დარბაზი, კომპიუტერის ოთახი, სკოლა.

დაწესებულების მთავარი ექიმის ნინო უდესიანის თქმით, 2012 წელს დაწესებულებაში ახალი ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი დაინერგა, რომელიც ყველა მსჯავრდებულზე სტანდარტული ჯანდაცვის ფორმების მიხედვით ივსება, მათ შორის-სკრინინგ და გეგმიური მეთვალყურეობის ფორმებიც. რაც შეეხება ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებთან ბრძოლას, ამ მხრივ შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით დაავადები კონტროლდება და ამაში ქალაქის სადეზინფექციო სამსახურიცაა ჩართული.

„დაწესებულებაში 24-საათიანი სამედიცინო მომსახურებაა. კონსულტაცია ხდება დაუყოვნებლივ. ვიწრო სპეციალისტების გარდა, თუ გადაუდებელი სიტუაციაა, არასრულწლოვნებს სამოქალაქო სექტორის სპეციალიზებულ კლინიკებში ვაგზავნით. საექიმო პუნქტი აღჭურვილია საჭირო თანამდეროვე ინვენტარით,“ – ამბობს კოლონიის მთავარი ექიმი.

არასრულწლოვანთა დაწესებულების უფროსის მოადგილე, ქეთევან კობალაძე, ქარხნის ადმინისტრაციის მხრიდან პრობლემის უგულებელყოფას საერთაშორისო ნორმების დარღვევად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს პრობლემა გარდა არასრულწლოვანთა დაწესებულებისა, გარშემო დასახლებულ პუნქტსაც აწუხებს.

მოქალაქეს უფლება აქვს, ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ ჯანსაღ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი; ეს კანონითაა განსაზღვრული. თუ ასე გაგრძელდა და ქარხანამ ფილტრაციის მექანიზმები არ შეიმუშავა, ცუდ შედეგებამდე მივალთ,“ – ამბობს კობალაძე.

ავჭალის დასახლებაში მცხოვრები მანანა დედალამაზაშვილი „ლიბერალთან“ ყვება, რომ ხანდახან ქარხნის ხმაური და სატვირთო მანქანებით გამოწვეული ვიბრაცია მოსახლეობას ძილის საშუალებასაც არ აძლევს.

„ფანჯრებს ვერ ვაღებთ, ოთახებს ვერ ვანიავებთ და ეზოში სარეცხს ვერ ვფენთ. მტვრის გამო მუდმივად თავის ტკივილი გვაწუხებს. წლებია ნორმალურად არ გვძინავს. ღამით მანქანების დაცლას რომ იწყებენ, დილითღა ამთავრებენ ხოლმე“, – ამბობს ავჭალაში მცხოვრები დედალამაზაშვილი.

მოქალაქეს უფლება აქვს, ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ ჯანსაღ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი; ეს კანონითაა განსაზღვრული. თუ ასე გაგრძელდა და ქარხანამ ფილტრაციის მექანიზმები არ შეიმუშავა, ცუდ შედეგებამდე მივალთ,“ – ამბობს კობალაძე.

იოტა iOS-ისთვის

ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიმუშები და ავრიდოდეა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აპლიკაციის გადმოსანერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ხეპოხტაფი

ბანსახლება დევნილობის 20 წლის შემდეგ

საომარი მოქმედებებიდან 20 წლის შემდეგ ათეულ ათასობით ოჯახი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, მთავრობა მათი დიდი ნაწილის განსახლებას მომდევნო 4 წლის განმავლობაში აპირებს.

ავტორი, ფოტო: მალხაზ ჭკადუა

ძალაყინი და ჩაქუჩი ზუგდიდის ყოფილ რაიონულ საავადმყოფოში შესახლებული ბავშვების ყოველ-დღიური „სათამაშოა“. ბავშვები დანგრეული შენობებიდან ფიცრებს გასათბობად ეზიდებიან

ოფიციალური სტატისტიკით, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი დევნილი ზუგდიდში ცხოვრობს. 48 513 პირიდან უმეტესობას სასწრაფოდ ესაჭიროება ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში გადაყვანა: ამჟამად იძულებით გადაადგილებული პირები ყოფილ საავადმყოფოებში, საბავშვო ბაღებში, სამრეცხაოებში, ავტოსადგომებსა და ფერმებშიც კი არიან შესახლებულები.

25 წლის ნიკა კვარაცხელიას ოჯახი ზუგდიდის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში უკვე ხუთი თვეა ცხოვრობს. უმუშევრობასა და მძიმე სოციალურ პირობებში, ხუთსულიან ოჯახს სახელმწიფო დახმარების იმედზე უწევს ცხოვრება. მათ მსგავსად, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში 50-მდე დევნილი ოჯახია შესახლებული. ძველი ნაგებობა ავარიულია, სასმელი წყალი 2-2 საათით, დილა-საღამოს მიეწოდებათ, მოშლილია კანალიზაციის სისტემა, საავადმყოფოს ეზო პრაქტიკულად ნაგავსაყრელად არის გადაქცეული. ამავე ეზოში რაიონის ყოფილი მორგის შენობაა განთავსებული, რომელსაც ერთ დროს მოქმედი სამედიცინო კოლეჯი სასწავლო ლაბორატორიად იყენებდა. მარტის ბოლოს კარებჩამოხსნილ შენობაში მოხეტიალე ძაღლებმა წლების განმავლობაში შენახული ქილები დაამტვრიეს, რამდენიმე მათგანში ადამიანის ემბრიონები აღმოჩნდა. ნანახით შეძრწუნებულმა დევნილებმა პოლიციას დაურეკეს, ემბრიონები დევნილი ოჯახების მცირეწლოვანი წევრების თვალწინ მიწაში ეზოშივე ჩაფლეს.

„როგორ უნდა გავზარდოთ აქ შვილები, ღამეები არ სძინავთ ამ ამბის შემდეგ. სათამაშოების ნაცვლად, ძალაყინი და ურო უკავიათ ხელში და დანგრეული შენობებიდან ფიცრებს ეზიდებიან, ცეცხლი რომ როგორმე დავანთოთ და კარტოფილი მაინც მოვხარშოთ“, – ამბობს დევნილი ქალბატონი.

კვარაცხელიების მსგავსად, შეროზიების ოჯახსაც ყოფილ პალატაში უწევთ გაჩერება. ოთახში აყრილი პარკეტი, ერთი ძველებური საწოლი დგას, ტანსაცმელი ცელოფნის პარკებში უწყვიათ. რამდენიმე თვის წინ გარევაჭრობით ირჩენდნენ თავს და ბინის ქირასაც იხდიდნენ, თუმცა ზუგდიდის ცენტრალური სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის აკრძალვისა და იქ პოლიციის თანამშრომელთა გამწესების შემდეგ შემოსავლის ეს წყაროც გადაეკეტათ. „იძულებულები გავხდით, ამ შენობაში შემოვსულიყავით. ნათესავები და ახლობლები კი გვყავს ზუგდიდში, მაგრამ რამდენი წელი უნდა გვარჩინონ და გაგვაჩერონ, ყველას თავისი პრობლემა აქვს და სურვილიც რომ ჰქონდეთ, უბრალოდ ვერც გაწვდებიან ჩვენს დახმარებას“, – ამბობს ნონა შეროზია.

იმის გამო, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ათეულობით ოჯახმა ყოფილი რაიონული საავადმყოფოს პალატები თვითნებურად დაიკავა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამ დევნილი ოჯახების დახმარებაზე უარი თქვეს. ფაქტს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის ტერიტორიული ორგანოს უფროსი ირაკლი ქოჩუაც ადასტურებს.

„მათ უკანონოდ შეჭრილის სტატუსი აქვთ, რაც დაბრკოლებაა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის დევნილთა დასახმარებლად. გაერო და სხვა ორგანიზაციები მხოლოდ მათ ეხმარებიან, ვინც კომპაქტურ ჩასახლებებში ცხოვრობენ ან ფართი უკვე საკუთრებაში აქვთ გადაცემული“, – განმარტავს ირაკლი ქოჩუა.

ოფიციალური სტატისტიკით, თბილისის შემდეგ ყველაზე მეტი დევნილი ზუგდიდში ცხოვრობს. 48 513 პირიდან უმეტესობას სასწრაფოდ ესაჭიროება ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში გადაყვანა: ამჟამად იძულებით გადაადგილებული პირები ყოფილ საავადმყოფოებში, საბავშვო ბაღებში, სამრეცხაოებში, ავტოსადგომებსა და ფერმებშიც კი არიან შესახლებულები.

დევნილთა განსახლება და მათთვის ფართების კანონიერ მფლობელობაში გადაცემა სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. უწყებაში აცხადებენ, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით 40 ათასი მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფი ოჯახების ფართებით დაკმაყოფილება ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს. მინისტრ დავით დარახველიძეს ამ განცხადების გაკეთების საფუძველს მთავრობის პოლიტიკური ნება და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარების იმედი აძლევს.

„ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, აშშ-ს განვითარების სააგენტო გვეხმარება ამ პროექტის განხორციელებაში. ჯერჯერობით ჩვენი გეგმის განსახორციელებლად საკმარისი თანხები მოძიებული არ გვაქვს, მაგრამ მთავრობასთან ერთად ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. სხვა ორგანიზაციებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ამ ეტაპისთვის ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში დავით დარახველიძე.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან კი დევნილთა საცხოვრებელი ფართების აშენება-რეაბილი-

ტაციისთვის წელს 83 მილიონი ლარია გამოყოფილი. დავით დარახველიძე დეკემბრის ჩათვლით დამატებითი საბიუჯეტო თანხების მიღებასაც ვარაუდობს, თუმცა ზუსტი ციფრების დასახელებას არ ჩქარობს. ერთადერთი, რაზეც მინისტრი ხაზგასმით საუბრობს, კომპენსაციის გაცემის არაეფექტურობაა: ბოლო წლების მანძილზე კომპენსაცია 5600 ოჯახზე გაიცა. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ბევრმა მათგანმა საცხოვრებელი ფართის პრობლემა ამ თანხით ვერ მოაგვარა.

„მათ რიცხვში შედიან თბილისში, ყოფილ სასტუმრო „აფხაზეთში" შესახლებული დევნილები. საუბარია დაახლოებით 250-მდე ოჯახზე. ყურადღება მიაქციეთ, რომ აჭარაში 40 ოჯახს იგივე პრობლემები ჰქონდა და აქციაც გაიმართა ქუთაისში, პარლამენტთან. მოქალაქეები ამბობენ, რომ კომპენსაცია არა საცხოვრებლის შესაძენად, არამედ ჯანდაცვისთვის ან სხვა მიზნისთვის დაეხარჯათ და საბინაო პრობლემა ვერ გადაწყვიტეს. კომპენსაციების გაცემის პრაქტიკამ ვერ გაამართლა. გვირჩევნია, ჩვენ თვითონ დავხარჯოთ 7 ან 10 ათასი დოლარი, ავაშენოთ ან გავარემონტოთ საცხოვრებელი სახლი და პირდაპირ გადავცეთ დევნილს ან თუ ამ ფასად თავად მოძებნის სახლს, ჩვენ შევუძინოთ", – ასეთია სამინისტროს მიდგომა.

ზუგდიდში მცხოვრები დევნილების დიდი ნაწილი თბილისის ქუჩაზე 8 საცხოვრებელი კორპუსის აშენებას ელოდება. სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, სახლებში, რომლებიც გერმანიის განვითარების ბანკის დახმარებით უნდა აშენდეს, სულ 370 დევნილი ოჯახი შესახლდება. სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის ტერიტორიულ ორგანოში ყოველდღიურად ათობით განცხადება იწერება საცხოვრებელი ფართის მიღების მოთხოვნით. კითხვაზე, თუ რისი გათვალისწინებით მოხდება დევნილთათვის ბინების გადაცემა, მინისტრი პასუხად განსახლების კრიტერიუმებს ასახელებს, რომლებიც სამინისტროსთან არსებულმა სამეთვალყურეო საბჭომ შეიმუშავა.

დოკუმენტი, რომელსაც ჯერ არ აქვს იურიდიული ძალა, დეტალურად აღწერს, თუ რა პრინციპით მოხდება საცხოვრებელი ფართების გადაცემა. „უპირველესად, ბინას მიიღებს ის, ვინც ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია", – ამბობს დავით დარახველიძე. მძიმე მდგომარეობაში კი იგულისხმება უმუშევრობა, მრავალსულიანობა, შემოსავლის წყაროს უქონლობა, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ომის ვეტერანობა და კიდევ არაერთი ფაქტორი. მინისტრი ირწმუნება, რომ ყველაზე მაღალი ქულის მქონე პირების მდგომარეობა კიდევ ერთხელ გადამოწმდება, რის შემდეგაც ოჯახი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება. სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, კრიტერიუმების დადგენის სამუშაო ჯგუფში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრი ნონა ქურდოვანიძეც მონაწილეობდა. იურისტი დოკუმენტის დადებით მხარედ მოიხსენიებს იმას, რომ ბინის გაცემა არა კონკრეტულ თანამდებობის პირზე, არამედ მკაცრად გაწერილი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე იქნება დამოკიდებული.

„მაგალითად, თუ სამინისტრო გეგმავს თბილისში 100 ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენებას, ის ვალდებული იქნება წინასწარ უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ჯგუფისათვის. შესაბამისად, დაინტერესებულ დევნილებს საშუალება ექნებათ წინასწარვე მიმართონ სამინისტროს და დააფიქსირონ საკუთარი სურვილი, მიიღონ საცხოვრებელი ფართი მიმდინარე პროექტის ფარგლებში. თუ აღმოჩნდა, რომ განცხადება წარდგენილია, მაგალითად, 300 ოჯახის მიერ, სპეციალური კომისია ვალდებული იქნება ამ 300 ოჯახს შორის გამოავლინოს ის 100 ოჯახი, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს განსახლებას და აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში კომისია შებოჭილია კრიტერიუმებით და საკუთარი შეფასებით ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას", – განმარტავს იურისტი, თუმცა იქვე ამატებს, რომ სისტემა იდეალური არ არის და მის განხორციელებამდე საცდელი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

გაირკვა, რომ სამინისტრომ უკვე დაიწყო ამ კრიტერიუმების გამოყენებით საპილოტე პროგრამის განხორციელება. იმერეთში რამდენიმე ათეული ოჯახის დაკმაყოფილება სწორედ მსგავსი მეთოდით მოხდება. დავით დარახველიძე ამბობს, რომ აღმოჩენილი ხარვეზების გათვალისწინების შემდეგ დოკუმენტი ნორმატიული აქტი გახდება.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მსგავსი კრიტერიუმები გასულ წლებშიც არსებობდა, თუმცა სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უწყება ხშირად ამ მიდგომას არ იყენებდა.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტიდან კი დევნილთა საცხოვრებელი ფართების აშენება-რეაბილიტაციისთვის წელს 83 მილიონი ლარია გამოყოფილი.

ფაცაციების ოჯახი თითქმის 20 წელია, რაც ყოფილი ბაღის შენობის სამრეცხაოში ცხოვრობს. ველოსიპედი მათი ერთადერთი მოძრავი ქონებაა

ეს ტიპური სურათია ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე შენობაში შესახლებული დევნილების ყოველდღიურობიდან. ყოფილი საბაშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია შეუძლებელია.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ფოთსა და ბათუმში დევნილთა განსახლების დროს სამინისტრომ არ გაითვალისწინა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა პირობები, განსახლების შესახებ დევნილებს მხოლოდ წინა დღით აგებინებდნენ, თავად ბინების გარკვეული ნაწილი კი დაუსრულებელი იყო: „მონიტორინგმა აჩვენა, რომ ქ.ფოთში როგორც საცხოვრებელი ფართების, ასევე მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის მიუხედავად, განსახლების პროცესი დაჩქარებული ტემპით განხორციელდა. უფრო მეტიც, რამდენიმე ოჯახს დაუსრულებელი ფართი გადაეცა, რამაც დევნილთა უკმაყოფილება გამოიწვია. ასევე მოუწესრიგებელი იყო კორპუსთან მისასვლელი გზები და მიმდებარე ტერიტორია. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ ქ.ფოთში განსახლების პროცესის საწყისი ეტაპი ქაოსურად და არაორგანიზებულად წარიმართა“, – ვკითხულობთ სახალხო დამცველის ანგარიშში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ქ. ფოთის „ახალ რაიონში“ 1168-ბინიანი 32 კორპუსი, წყალტუბოში – 352-ბინიანი 10 საცხოვრებელი კორპუსი, ხოლო ბათუმში, თამარის დასახლებაში სამი ათასი დევნილისათვის 22 საცხოვრებელი კორპუსი აშენდა.

ციტატები



„ბოლო თვეების განმავლობაში, ეს კომპლექსი (რაბათის ციხე) იქცა თითოეული ახალციხელის სიამაყედ. თუ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნაცვლად განახლებისა, ნაცვლად განვითარებისა, ნაცვლად გაფართოებისა ჩვენ მიერ გაშენებული დაანგრიოს, გააფუჭოს, შეცვალოს, მე ჩემს პირად მეგობრებთან ერთად, ახალციხელ მეგობრებთან ერთად გავაკეთებ მოძრაობას რაბათის ციხის გადასარჩენად.“

ვანო მერაბიშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი

„ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია წინასწარი განზრახვა დაარღვიოს სახელმწიფო საზღვარი და არღვევს უნებლიეთ, იმიტომ რომ ამაზე შეტყობინება არ აქვს, ის ციხეში არ უნდა ხვდებოდეს.“

პაატა ზაქარეიშვილი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში

„ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე საქართველოს წინა ხელისუფლების და ახალი მთავრობის პოზიციებში ვერანაირ სხვაობას ვერ ვხედავ. ალიანსი ღია კარის პოლიტიკისა და ბუქარესტის 2008 წლის სამიტის ერთგული რჩება. ჩვენ 4 კანდიდატი გვყავს: მონტენეგრო, მაკედონია, ბოსნია-ჰერცოგოვინა და საქართველო. თუ რა მოხდება, ეს მათ ქმედებებსა და პოლიტიკაზეა დამოკიდებული.“

ალექსანდრ ვერშბოუ, NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილე

www.ucnobifm.ge

tv 9

ყველაზე საინტერესო
პროფესიების ყველაზე
განმავლობაში
ღირსები
გაგებული

PROFY

ყოველ ჯვირას 15:30

www.tv9.ge